ახალგაზრდობის სააგენტო

ACADEMY FOR PEACE AND DEVELOPEMENT
მშვიდობისა და განვითარების აკადემია

ახალგაზრდების
საჭიროებების, გამოწვევების, ინტერესების და რესურსების
კვლევა

ფოთის მუნიციპალიტეტი

2020

სსიპ ,,ახალგაზრდობის სააგენტო“ სამწლიანი რეფორმის ფარგლებში, ახორციელებს - „მუნიციპალური ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების ხელშეწყობის“ ქვეპროგრამას, რომელიც 11 მუნიციპალიტეტში მხარს უჭერს მუნიციპალური ახალგაზრდული მუშაკების გადამზადებას და მუნიციპალური ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტისა და სამოქმედო გეგმების შექმნას.

ა(ა)იპ „კავშირი მშვიდობისა და განვითარების აკადემია ფოთის მუნიციპალიტეტში ახორციელებს პროექტს “გააძლიერე ცვლილებისათვის - ადგილობრივი შესაძლებლობების გაძლიერება ახალგაზრდობის მონაწილეობისათვის”, რაც გულისხმობს ევროპული გამოცდილების გაზიარებას და ახალგაზრდებისათვის, ახალგაზრდული ორგანიზაციებისა და საჯარო მოხელეებისათვის განვითარების პროგრამებს. შესაბამისად, ახალგაზრდობის სააგენტო ადგილობრივი ახალგაზრდული პოლიტიკის ხელშეწყობის პროგრამის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით ერთვება აღნიშნულ პროგრამაში და ატარებს ახალგაზრდების საჭიროებების კვლევას.

ახალგაზრდობის კვლევა

კვლევის შედეგები

ფოთის მუნიციპალიტეტი

2021

სარჩევი

კვლევის ძირითადი მიგნებები 2
რეკომენდაციები 8
შესავალი 10
მეთოდოლოგია 11
თვისებრივი კვლევის შედეგები 14
ახალგაზრდების წინაშე მდგარი გამოწვევები 14
ახალგაზრდებისთვის შეთავაზებული პროგრამები/აქტივობები და ინფორმაციის გავრცელების მექანიზმები 19
ახალგაზრდების ჩართულობა 22
სამომავლო გეგმები 24
დასკვნა 24
რაოდენობრივი კვლევის შედეგები 29
ახალგაზრდების დემოგრაფიული მახასიათებლები 29
სამოქალაქო აქტიურობა 30
მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული პროგრამები და სერვისები 34
საგანმანათლებლო და საინფორმაციო ტექნოლოგიებთან წვდომა 36
დასაქმება და მასთან დაკავშირებული საკითხები 37
გართობისა და დასვენების შესაძლებლობები 39
მოხალისეობა 41
სპორტული აქტივობები 43
მავნე ნივთიერებებზე/ჩვევებზე დამოკიდებულება 44
მიგრაციასთან დაკავშირებული საკითხები 45
ტოლერანტობა 46
დასკვნა 46
დანართი 51

კვლევის ძირითადი მიგნებები

სამოქალაქო აქტიურობა

- ფოთის მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდების 60% ფიქრობს, რომ ფოთის მუნიციპალიტეტის პოლიტიკაში ახალგაზრდების ინტერესები გათვალისწინებულია, 14% კი ფიქრობს, რომ მათი ინტერესები გათვალიწინებული არ არის.
- გამოკითხული ახალგაზრდების განცხადებით, ბოლო 12 თვის მანძილზე მონაწილეობა მიუღიათ საზოგადოებრივი სივრცის დასუფთავებაში (სადარბაზო, ქუჩა, სკოლა, ეკლესიის ეზო და მსგავსი ადგილები) (35%), მოხალისეობრივ აქტივობებში (35%) და სოციალურ ქსელებსა და ფორუმებში სხვადასხვა საკითხის განხილვაში (27%), სხვა სახის აქტივობებში კი უფრო იშვიათად იყვნენ ჩართული.
- თვისებრივი კვლევის მონაწილე არასრულწლოვანი ახალგაზრდები აცხადებენ, რომ არ სმენიათ და არც მონაწილეობა მიუღიათ მუნიციპალიტეტის მიერ ორგანიზებულ რაიმე აქტივობაში. რაც შეეხება სრულწლოვან რესპონდენტებს, მათმა ნაწილმა მუნიციპალიტეტის მიერ ორგანიზებული კონკურსი „რა? სად? როდის?“ და პროექტი „ახალგაზრდული იდეა“ დაასახელეს.
- ახალგაზრდები აღნიშნავენ, რომ აქვთ სურვილი ჩაერთონ მუნიციპალიტეტის საქმიანობაში. მათი თქმით, კარგი იქნება, თუ შეიქმნება ახალგაზრდული საბჭოები და ჩატარდება ახალგაზრდების გამოკითხვა. გარდა ამისა, მათი განცხადებით, მნიშვნელოვანია, ახალგაზრდებს დაეთმოთ მეტი ყურადღება და მათი აზრი მეტად იყოს გათვალისწინებული.
- კვლევის მონაწილეების ნაწილს სმენია ახალგაზრდული ორგანიზაციების მიერ განხორციელებული პროექტების შესახებ. მონაწილეებმა დაასახელეს ფონდ „ბილივის“ და ახალგაზრდა დიპლომატთა ასოციაციის მიერ განხორციელებული პროექტების შესახებ. მონაწილეები დადებითად აფასებენ არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობას.
- მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლის განცხადებით, მუნიციპალიტეტი ყველა დაინტერესებულ ახალგაზრდას სთავაზობს, რომ ჩაერთოს მუნიციპალიტეტის საქმიანობაში. მისი თქმით, არსებობს ახალგაზრდული საკრებულო, სადაც ახალგაზრდები წარმოადგენენ თავიანთ პროექტებსა და ინიციატივებს. გარდა ამისა, მისი თქმით, ცდილობენ, ახალგაზრდები ჩართონ ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესშიც და სთხოვენ დაინტერესებულ ახალგაზრდებს, დაესწრონ შეხვედრებს. გარდა ამისა, უკავშირდებიან სკოლის დირექტორებს და სთხოვენ აქტიური ახალგაზრდების მოძიებას, რომლებიც აღნიშნულ პროცესში ჩაერთვებიან. რესპონდენტის განცხადებით, ყოფილა შემთხვევა, როდესაც ახალგაზრდებისთვის პროექტის განხორციელებაზე უარი უთქვამთ ფინანსური რესურსის სიმწირის გამო.
- რაც შეეხება არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს, ისინი აცხადებენ, რომ ახალგაზრდები ჩართული არიან მათ აქტივობებში. ერთ-ერთი ორგანიზაციის

წარმომადგენლის განცხადებით, უფრო მეტია გოგონების დაინტერესება, ვიდრე ბიჭების.

მუნიციპალიტეტში არსებული ახალგაზრდული პროგრამები და სერვისები

- ფოთის მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა (87%) ინფორმაციას მუნიციპალიტეტში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით სოციალური ქსელების საშუალებით იღებს.
- გამოკითხული ახალგაზრდების მხოლოდ 37% ამბობს, რომ გასული 12 თვის განმავლობაში ერთხელ მაინც იყო ჩართული მუნიციპალიტეტში ახალგაზრდებთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში. 62%-ის განცხადებით კი, ჩართული არ ყოფილა. არმონაწილეობის ძირითად მიზეზებად კი ინფორმაციის არქონა სახელდება.
- რესპონდენტების უმრავლესობას (61%) ერთხელ მაინც მიუღია მონაწილეობა მუნიციპალიტეტის მიერ ორგანიზებულ ახალგაზრდულ პროგრამებში.
- რესპონდენტთა 34% მიუმართავს ფოთის მუნიციპალიტეტისთვის რაიმე პროექტის ან/და ინიციატივის განხორციელების მიზნით, ხოლო 61%-ს - არა.
- მათგან, ვისაც მიუმართავს მუნიციპალიტეტისთვის რაიმე პროექტის ან/და ინიციატივის განხორციელების მიზნით მუნიციპალიტეტისთვის, 59% ამბობს, რომ კმაყოფილია მიღებული დახმარებით, ხოლო, 37% ამბობს, რომ უკმაყოფილოა.
- გამოკითხული ახალგაზრდების 37% აცხადებს, რომ არ უსარგებლიათ შემდეგი სერვისებით: არაფორმალურ საგანმანათლებლო პროგრამები (ტრენინგ კურსები, სემინარები, ვორქშოპები და სხვა), მუნიციპალიტეტში არსებული კულტურული და სპორტული წრეები, საბანაკე პროგრამები, საინფორმაციო და საკონსულტაციო სერვისები. აღნიშნული სერვისებით არსარგებლობის მიზეზად კი ყველაზე ხშირად ინფორმაციის (38%) და დროის (23%) არქონა დასახელდა.
- ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელი ამბობს, რომ მუნიციპალიტეტი ახალგაზრდებს სხვადასხვა კულტურულ, გასართობ და სპორტულ ღონისძიებას სთავაზობს. მისი თქმით, იმართება ინტელექტუალური შეჯიბრი „რა? სად? როდის?“, ასევე მუნიციპალიტეტის ორგანიზებით იმართება პროექტი ფოთის მოხალისე, რომელიც აერთიანებს 14-29 წლის ახალგაზრდებს და უზრუნველყოფს სპორტულ, კულტურულ და ახალგაზრდულ ღონისძიებებში მათ ჩართულობას. გაწეული მოხალისეობრივი საქმიანობისთვის მათთვის ეწყობა უფასო ექსკურსიები. გარდა ამისა, ახალგაზრდებისთვის ეწყობა ბანაკები, სპორტული და გასართობი აქტივობები. რესპონდენტის განცხადებით, ახალგაზრდული მიმართულებით მნიშვნელოვანია მეტი ფინანსური რესურსის გამოყოფა, რომ მეტი პროექტი განხორციელდეს და მეტი ახალგაზრდა ჩაერთოს აღნიშნულ პროექტებში.
- რაც შეეხება არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ შეთავაზებულ აქტივობებს, ისინი ძირითადად სხვადასხვა მოწყვლად ჯგუფთან მუშაობენ, გარდა ამისა, ახორციელებენ საგანანმანათლებლო და კულტურულ აქტივობებსაც ახალგაზრდებისთვის. ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის

წარმომადგენლის განცხადებით, ახორციელებენ მუნიციპალიტეტში არსებული სხვა არასამთავრობო ორგანიზაციების განვითარების ხელშემწყობ აქტივობებსაც.

ახალგაზრდების წინაშე მდგარი გამოწვევები

- გამოკითხულმა ახალგაზრდებმა მათ წინაშე მდგარი ხუთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა დაასახელეს. უმრავლესობა (77%) მთავარ პრობლემად დასაქმების საკითხს მიიჩნევს. ასევე, ხშირად დასახელდა თავისუფალი დროის ხარისხიანად გატარების (დასვენება/გართობა) შესაძლებლობის ნაკლებობა (73%), უმაღლეს განათლებაზე ხელმისაწვდომობა (51%), ოჯახის წევრების მიგრაცია საზღვარგარეთ (32%), ვარჯიში/სპორტულ აქტივობაში ჩართვის შესაძლებლობა (26%), სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა (29%), პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობა (16%) და ადაპტირებული გარემო (16%).
- თვისებრივ კვლევაში მონაწილე ახალგაზრდების აზრით, მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების წინაშე შემდეგი გამოწვევები დგას: ახალგაზრდული სივრცეების, კულტურული და გასართობი ადგილების ნაკლებობა; სამუშაო ადგილების სიმცირე; უმაღლესი და არაფორმალური განათლების ხელმისაწვდომობის პრობლემა; სპორტული ინფრასტრუქტურის გაუმართაობა, სპორტული წრეების მრავალფეროვნების პრობლემა; საჯარო ბიბლიოთეკებში შესაბამისი ინფრასტრუქტურის არარსებობა; მიგრაციის პრობლემა; ახალგაზრდების ინფორმირებულობის დაბალი დონე სხვადასხვა აქტივობისა და შესაძლებლობის შესახებ.
- ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლის განცხადებით, ახალგაზრდების წინაშე მდგარი პრობლემებიდან ძირითადია ახალგაზრდული სივრცეების ნაკლებობა, დასაქმებასთან და მიგრაციასთან დაკავშირებული პრობლემები.
- არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების განცხადებით, მუნიციპალიტეტში მაღალია ახალგაზრდების მიგრაციის მაჩვენებელი. ერთ-ერთი რესპონდენტი აღნიშნავს, რომ სკოლის დასრულების შემდეგ ახალგაზრდები ტოვებენ ქალაქს და იშვიათად ბრუნდებიან უკან. გარდა ამისა, პრობლემას წარმოადგენს გასართობი დაწესებულებების სიმცირე, როგორიც არის კინო და თეატრი.

საგანმანათლებლო და საინფორმაციო ტექნოლოგიებთან წვდომა

- ფოთის მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდების დიდი უმრავლესობა ამბობს, რომ წვდომა კომპიუტერთან (94%) და ინტერნეტთან (99%) აქვს.
- რესპონდენტები ყველაზე ხშირად საინფორმაციო ტექნოლოგიებს ინფორმაციის მისაღებად (76%), სოციალური ქსელების გამოყენების მიზნით (64%), სასწავლო მიზნით (58%) და გასართობად (58%) იყენებენ.
- თვისებრივ კვლევაში მონაწილე ახალგაზრდების ნაწილი საუბრობს ბიბლიოთეკით სარგებლობასთან დაკავშირებულ პრობლემაზეც, მათი თქმით,

საჯარო ბიბლიოთეკების ინფრასტრუქტურა გასაახლებელია, რომ მსურველმა შეძლოს სამკითხველო დარბაზებით სარგებლობა.

- თვისებრივ კვლევაში მონაწილე რესპონდენტთა ნაწილი საუბრობს ახალგაზრდებისთვის არაფორმალური განათლების ხელმისაწვდომობის საჭიროებაზე და აღნიშნავს, რომ მნიშვნელოვანია, ბევრი ახალგაზრდა იყოს ჩართული მსგავს აქტივობებში.
- ახალგაზრდების ნაწილი პრობლემად ასახელებს ფოთში უმაღლესი სასწავლებლის არქონასაც. მათი თქმით, გაიხსნა საზღვაო აკადემია, თუმცა ისურვებდნენ უმაღლესი სასწავლებლის არსებობასაც. რესპონდენტების აზრით, მნიშვნელოვანია, ფოთში არსებობდეს სტუდენტური ცხოვრება, რაც შეამცირებდა მიგრაციის დონეს და ასევე, მეტი სამუშაო ადგილის გაჩენასაც შეუწყობდა ხელს.

დასაქმება და მასთან დაკავშირებული საკითხები

- ფოთის მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობას (80%) მიაჩნია, რომ ახალგაზრდისთვის მუნიციპალიტეტში დასაქმება რთულია.
- გამოკითხულთა 30% ამბობს, რომ დასაქმებულია, ხოლო სრულწლოვანი რესპონდენტების მეოთხედი (43%) ამბობს, რომ დასაქმებულია. უფრო კონკრეტულად, 14-17 წლამდე რესპონდენტების - 4%, 18-22 წლის ახალგაზრდების - 29%, ხოლო 23-25 წლის გამოკითხული ახალგაზრდების 56% ამბობს, რომ დასაქმებულია.
- დასაქმებულ რესპონდენტთა 41% ამბობს, რომ მათ სამუშაო ადგილზე ღირსეული და უსაფრთხო შრომის პირობები დაცულია. 49%-ის აზრით, მეტ-ნაკლებად დაცულია, ხოლო 10%-ს მიაჩნია, რომ მათ სამუშაო ადგილზე ღირსეული და უსაფრთხო შრომის პირობები დაცული არ არის.
- იმ ახალგაზრდების 55%, ვინც ამბობს, რომ არ არის დასაქმებული და ამავდროულად ეძებს სამსახურს (25%), სამსახურს 1-12 თვეა რაც ეძებს.
- ახალგაზრდები, რომლებიც სამსახურს ეძებენ, ყველაზე ხშირად ფიქრობენ, რომ მათი უმუშევრობის მიზეზები დასაქმების სერვისების არარსებობა (48%) და ზოგადად, სამუშაო ადგილების ნაკლებობაა (45%). მიზეზად ასევე, ხშირად დაასახელეს ისეთი ნაცნობის არარსებობა, რომელიც დასაქმებაში დაეხმარებოდათ (38%), კოვიდ19-ის პანდემია (38%), პროფესიული უნარ-ჩვევების ნაკლებობა (24%) და ინფორმაციის ნაკლებობა (20%).
- თვისებრივ კვლევაში მონაწილე ახალგაზრდები და მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელი დასაქმებას ახალგაზრდების წინაშე მდგარ გამოწვევად მიიჩნევენ.

გართობისა და დასვენების შესაძლებლობები

- ფოთის მუნიციპალიტეტში არსებული გართობა-დასვენების შესაძლებლობით გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა (80%) უკმაყოფილო ან ძალიან უკმაყოფილოა.

- რესპონდენტთა 51% უკმაყოფილოა მუნიციპალიტეტში კულტურულ-შემოქმედებითი საქმიანობის შესაძლებლობით.
- ფოთის მუნიციპალიტეტში გამოკითხულ ახალგაზრდებს ყველაზე ხშირად კინოთეატრის (63%) და ახალგაზრდული ცენტის (61%) არსებობა სურთ. ასევე ხშირად დასახელდა ატრაქციონების პარკის (30%), ლიტერატურული კაფეს (24%), ახალგაზრდული ბანაკებისა (22%) და სკვერების/ბაღებისა (19%) არსებობის/ფუნქციონირების სურვილი.
- რესპონდენტთა 56%-ის თქმით, ფოთის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდებისთვის ფიზიკური სივრცე არ არსებობს, 30%-ს კი ამის შესახებ ინფორმაცია არ აქვს.
- თვისებრივ კვლევაში მონაწილე ახალგაზრდები, მუნიციპალიტეტის მერიის და ახალგაზრდული ორგანიზაციების წარმომადგენლების განცხადებით, მუნიციპალიტეტში პრობლემურია ახალგაზრდული სივრცეების, კულტურული და გასართობი ადგილების ნაკლებობა.

მოხალისეობა

- გამოკითხული ახალგაზრდების 50%-ის განცხადებით, გასული 12 თვის განმავლობაში მოხალისეობრივ აქტივობებში ჩართული იყო.
- გამოკითხული 14-17 წლის ახალგაზრდების 38%-ს მიუღია მონაწილეობა მოხალისეობრივ აქტივობებში, 18-22 წლის ახალგაზრდების - 48%-ს, ხოლო 23-25 წლის ახალგაზრდების - 51%-ს.
- ის ახალგაზრდები, რომლებიც აცხადებენ, რომ გასული 12 თვის განმავლობაში არ მიუღიათ მონაწილეობა მოხალისეობრივ აქტივობებში საქართველოში ან/და საზღვარგარეთ (36%), ამის მიზეზად 45% არასაკმარის დროს ასახელებს, 19% კი აცხადებს, რომ არ აქვს ინფორმაცია, როგორ ჩაერთოს მოხალისეობრივ აქტივობებში.

სპორტული აქტივობები

- ფოთის მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდების 44% აცხადებს, რომ ფიზიკური აქტივობით კვირაში რამდენჯერმე არის დაკავებული. 20% ამბობს, რომ საერთოდ არ არის დაკავებული ფიზიკური/სპორტული აქტივობით, ხოლო 34% ამბობს, რომ წელიწადში რამდენჯერმე აქტიურობს ფიზიკურად.
- კითხვაზე, თუ რომელ სპორტულ აქტივობაში ისურვებდნენ ჩართვას, რესპონდენტებმა ყველაზე ხშირად ცურვა (52%) დაასახელეს. ასევე, ხშირად დასახელდა იოგა (36%), ფიტნეს ვარჯიშები (32%), ჩოგბურთი (27%), კალათბურთი (26%), ცეკვა (21%) და ფრენბურთი (19%).
- იმ გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა, რომლებიც იშვითად (თვეში ან წელიწადში რამდენჯერმე) ან საერთოდ არ არიან დაკავებული სპორტული ან ფიზიკური აქტივობით (54%), ამის მიზეზად არასაკმარის დროს (55%) და სურვილის არქონას (24%) ასახელებენ.

მავნე ნივთიერებებზე/ჩვევებზე დამოკიდებულება

- გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა თვლის, რომ ახალგაზრდებში სიგარეტის (79%), ალკოჰოლის (67%), მარიხუანისა (82%) და ნარკოტიკული საშუალებების (68%) მოხმარება პრობლემურია.
- გამოკითხულთა 83% ფიქრობს, რომ ფოთის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების აზარტულ თამაშებში ჩართულობა პრობლემურია.

მიგრაციასთან დაკავშირებული საკითხები

- გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა (60%) აცხადებს, რომ მუნიციპალიტეტიდან და/ან ქვეყნიდან წასვლა სურს.
- მუნიციპალიტეტიდან და ქვეყნიდან წასვლის სურვილის ძირითადად მიზეზად ახალგაზრდები საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას (67%), დასაქმების უკეთეს შესაძლებლობას (65%), უკეთესი განათლების მიღების შესაძლებლობას (62%) და საკუთარი თავის რეალიზების უკეთეს შესაძლებლობას (52%) ასახელებენ.

ტოლერანტობა

- ფოთის მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდების ნახევარზე მეტი ამბობს, რომ დადებითი დამოკიდებულება აქვს რელიგიური (56%) და ეთნიკური (52%) უმცირესობებისადმი.
- გამოკითხული ახლგაზრდების 46% ამბობს, რომ ნეიტრალური დამოკიდებულება სექსუალური უმცირესობებისადმი.

რეკომენდაციები

კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შემუშავდა შესაბამისი რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინებაც სასურველია მუნიციპალური ახალგაზრდული პოლიტიკის დაგეგმვისას.

1. ფოთის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების ძირითადი ნაწილისთვის (77%) ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა, მიუხედავად ასაკისა, დასაქმების საკითხია. ყოველი მეოთხე გამოკითხული ახალგაზრდა (25%) ამბობს, რომ არ არის დასაქმებული და ეძებს სამსახურს. ამასთანავე, როგორც თვისებრივი კვლევიდან გამოიკვეთა, დასაქმების საკითხის პრობლემურობა, რესპონდენტების აზრით, მუნიციპალიტეტიდან ახალგაზრდების მიგრაციას უწყობს ხელს. გამოკითხული ახალგაზრდები, რომლებიც არ არიან დასაქმებული და სამსახურს ეძებენ, მიიჩნევენ, რომ დასაქმებაში სტაჟირების შესაძლებლობა (45%), პროფესიული ცოდნის/უნარების გაუმჯობესება (38%) და დასაქმების სერვისებზე ხელმისაწვდომობა (38%) დაეხმარებათ. **შესაბამისად, სასურველია, მუნიციპალიტეტმა ახლგაზრდებს შესთავაზოს ისეთი პროგრამები, რომელიც მათ პროფესიულ ცოდნას/უნარებს აამაღლებს და ასევე, ახალგაზრდებს სხვადასხვა ტიპის სამსახურში სტაჟირების შესაძლებლობას შესთავაზებს.**
2. ასევე, ხშირად პრობლემად თავისუფალი დროის ხარისხიანად გატარების (დასვენება/გართობა) შესაძლებლობის ნაკლებობა (73%) დასახელდა, რასაც თვისებრივ კვლევაში მონაწილე ახალგაზრდებიც ადასტურებენ. მათი თქმით, არ აქვთ სივრცე, სადაც შეკრებასა და დასვენება/გართობას შეძლებდნენ. გარდა ამისა, გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა (80%) პასუხობს, რომ უკმაყოფილო ან ძალიან უკმაყოფილოა მუნიციპალიტეტში არსებული გართობა/დასვენების შესაძლებლობებით. **შესაბამისად, სასურველია, მუნიციპალიტეტმა ახალგაზრდებისთვის გასართობი/დასასვენებელი სივრცეების შექმნა/მოწყობაზე იზრუნოს.**
3. გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა (62%) ამბობს, რომ გასული 12 თვის განმავლობაში არ ყოფილა ჩართული მუნიციპალიტეტში ახალგაზრდებთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ამის მიზეზად 21% ამბობს, რომ არ ჰქონდა ინფორმაცია. არაინფორმირებულობის პრობლემაზე საუბრობენ თვისებრივ კვლევაში მონაწილე ახალგაზრდებიც. ამავდროულად, ახალგაზრდების ძირითადი ნაწილი ამბობს, რომ მუნიციპალიტეტში მიმდინარე მოვლენების გასაცნობად სოციალურ ქსელებს იყენებენ, ინფორმაციის მიღების წყაროდ, ასევე, ტელევიზია და ახლობლები/მეგობრები/ნათესავები დასახელდა. **შესაბამისად, მნიშვნელოვანია, მუნიციპალიტეტის მიერ ახალგაზრდების ინფორმირების ეფექტიანი მექანიზმების შემუშავება, განსაკუთრებით კი ჩამოთვლილი საინფორმაციო წყაროების უფრო ეფექტიანად გამოყენება და ახალგაზრდების ჩართულობის უზრუნველყოფა გადაწყვეტილების მიღების პროცესში.**
4. გამოკითხული ახალგაზრდების 45% ამბობს, რომ გასული 12 თვის მანძილზე მოხალისეობრივ აქტივობებში მონაწილეობა არ მიუღია, მიზეზად 19% აცხადებს,

რომ არ აქვს ინფორმაცია, როგორ ჩაერთოს მოხალისეობრივ საქმიანობაში. ამასთანავე არასრულწლოვანი ახალგაზრდები უფრო ხშირად ამბობენ, რომ არ არიან ინფორმირებული, როგორ ჩაერთონ მოხალისეობრივ აქტივობებში, ვიდრე სრულწლოვანი ახალგაზრდები. **შესაბამისად, მნიშვნელოვანია, ახალგაზრდების მოხალისეობრივ საქმიანობაში ჩართულობის უზრუნველყოფა და მათთვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება, განსაკუთრებით კი 14-17 წლის ახალგაზრდებისთვის, ვინაიდან ისინი ნაკლებად ინფორმირებული აღმოჩნდნენ მოხალისეობრივი შესაძლებლობების შესახებ, ვიდრე 18-25 წლის ახალგაზრდები.**

5. გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა თვლის, რომ ახალგაზრდებში სიგარეტის, ალკოჰოლის, მარიხუანისა და ნარკოტიკული საშუალებების მოხმარება პრობლემურია. გარდა ამისა, გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა (54%), იშვიათად (თვეში ან წელიწადში რამდენჯერმე) ან საერთოდ არ არიას დაკავებული სპორტული ან ფიზიკური აქტივობით. **შესაბამისად, სასურველია, ახალგაზრდებში ფიზიკური/სპორტული აქტივობის პოპულარიზაცია.**

შესავალი

ახალგაზრდობა უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ადამიანური კაპიტალის განვითარებაში, რაც, თავის მხრივ, ქვეყნის სოციო-ეკონომიკური და დემოკრატიული განვითარების საფუძველია. ახალგაზრდები ხშირად არიან ცვლილების, განვითარებისა და ინოვაციების ინიციატორები. საქართველოში ახალგაზრდების აქტივობისა და დასაქმების მაჩვენებლების ანალიზი აჩვენებს, რომ მათი შესაძლებლობები სრულად არ არის გამოყენებული. მაგალითად, ე.წ. NEET მაჩვენებელი, რომელიც გამოხატავს უმუშევარ და არააქტიურ ახალგაზრდებს, 2018 წელს 15-24 წლის ასაკის ახალგაზრდებში 27% იყო. ეს მაჩვენებელი ასაკთან ერთად იზრდება და 15-29 წლის ასაკში თითქმის 30% -ს აღწევს (ETF, 2019). NEET მაჩვენებელი ქალებს შორის და ქალაქის ტიპის დასახლებებში უფრო მაღალია. NEET სოციალური ჩართულობის პრობლემასაც ასახავს. სხვა კვლევებიც ადასტურებს, რომ კვლავ მწვავედ დგას ახალგაზრდების განათლებასთან და დასაქმებასთან დაკავშირებული საკითხები, ასევე, საზოგადოებრივ ცხოვრებასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ახალგაზრდების მონაწილეობასთან დაკავშირებული საკითხები. გასათვალისწინებელია ისიც, რომ დემოგრაფიული ცვლილებების ფონზე მცირდება ახალგაზრდების წილი მოსახლეობაში და უფრო მნიშვნელოვანი ხდება მათი შესაძლებლობების მაქსიმალური რეალიზება.

მნიშვნელოვანია ახალგაზრდების პოლიტიკის უფრო ფართო კონტექსტში გააზრება როგორც ეროვნულ, ასევე, ადგილობრივ დონეზე და დაინტერესებული მხარეების, მთავრობის, სოციალური პარტნიორების, მუნიციპალიტეტების, სამოქალაქო საზოგადოების აქტიური ჩართულობა. ახალგაზრდული პოლიტიკის წარმატებით დაგეგმვისა და განხორციელებისათვის მნიშვნელოვანია თითოეულ მუნიციპალიტეტში კვლევაზე დაფუძნებული, რეალურ საჭიროებებზე ორიენტირებული სამოქმედო გეგმების შემუშავება. ადგილობრივი თვითმმართველობები ნაკლებად იკვლევენ და შესაბამისად, ნაკლებად არიან ინფორმირებულნი ახალგაზრდების რეალური საჭიროებების შესახებ (Friedrich Ebert Stiftung, 2016). კვლევები და არსებული მტკიცებულებები ნაკლებად გამოიყენება ახალგაზრდების საჭიროებების დასადგენად, ანდა ახალგაზრდული პოლიტიკის შესამუშავებლად, რაც საჭირო რესურსების ნაკლებობასაც (მეთოდოლოგიური, ადამიანური) უკავშირდება.

სწორედ ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით ახალგაზრდობის სააგენტოს ინიციატივით „მუნიციპალური ახალგაზრდული პოლიტიკის“ პროექტის ფარგლებში ფოთის მუნიციპალიტეტში ჩატარდა ახალგაზრდების საჭიროებების კვლევა. კვლევის შედეგებისა და უკვე არსებული მეორადი მონაცემების გათვალისწინებით შემუშავდება მუნიციპალური ახალგაზრდული პოლიტიკა, ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტები და სამოქმედო გეგმები, განხორციელდება პროგრამები და ინიციატივები, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდების კეთილდღეობის გაუმჯობესებას.

წინამდებარე კვლევის მიზანია ფოთის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების საჭიროებების, ინტერესებისა და სხვადასხვა საკითხისადმი დამოკიდებულებების შესწავლა. კვლევის ფარგლებში გამოიკითხა 14-25 წლის 165 ახალგაზრდა. წინამდებარე ანგარიშში, ტერმინები „ახალგაზრდა“ და „ახალგაზრდა პირი“ ერთი მნიშვნელობით გამოიყენება და აღნიშნავს 14-25 წლის ასაკის პირს. კვლევის ძირითადი მიმართულებები განისაზღვრა „საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის“ (განკარგულება №533, 2014) საფუძველზე, რომელიც ზოგად ჩარჩოს ქმნის ახალგაზრდული პოლიტიკისთვის. კვლევის ფოკუსს წარმოადგენს:

- ახალგაზრდების წინაშე მდგარი პრობლემებისა და გამოწვევების იდენტიფიცირება;
- ახალგაზრდების საჭიროებების შესწავლა;
- ახალგაზრდებისთვის არსებული შესაძლებლობების გამვლენა.

კვლევა შეეხება ისეთ საკითხებს, როგორიცაა: დასაქმება, განათლება, მონაწილეობა, ცხოვრების სტილი, ჯანმრთელობა და სხვა მომიჯნავე საკითხები.

შესაძლოა კვლევა ჩაითვალოს უფრო ღრმა ანალიზისა და პოლიტიკური დისკუსიის საწყის ეტაპად. კვლევის დასრულების შემდეგ გადაიხედება და გადამუშავდება მეთოდოლოგია, რომლის გამოყენება სამომავლოდაც შესაძლებელი იქნება. განგრძობითი კვლევები მუნიციპალიტეტს შესაძლებლობას მისცემს გააანალიზონ ახალგაზრდების გამოწვევებისა და პრობლემების განვითარების დინამიკა და მიღებული შედეგები პროგრამების დაგეგმვისას გამოიყენონ.

მეთოდოლოგია

ახალგაზრდობის კვლევაში გამოყენებულია: რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდები.

<u>რაოდენობრივი კვლევის</u> მიზანი ახალგაზრდების საჭიროებების, ინტერესებისა და დამოკიდებულებების შესწავლა იყო. გამოყენებულია გამოკითხვის მეთოდი. არსებული სიტუაციის - კოვიდ-19-ის პანდემიის გათვალისწინებით გამოყენებულ იქნა ონლაინ გამოკითხვა. ფოთის მუნიციპალიტეტში გამოიკითხა 165 რესპონდენტი.

<u>თვისებრივი კვლევის</u> ფარგლებში ფოკუს ჯგუფისა და ჩაღრმავებული ინტერვიუს ტექნიკებია გამოყენებული. ფოკუს ჯგუფების მიზანი ახალგაზრდების პერსპექტივის, მათ წინაშე მდგარი გამოწვევებისა და მათი გადაჭრის გზების სიღრმისეული შესწავლა იყო. კვლევის ფარგლებში ფოთის მუნიციპალიტეტში ჩატარდა 3 ფოკუს ჯგუფი სამ ასაკობრივ კატეგორიაში (14-17, 18-22, 23-25 წლის ახალგაზრდები), თითოეულ ფოკუს ჯგუფში მონაწილეობა 6-დან 10-მდე ახალგაზრდამ მიიღო.

ჩაღრმავებული ინტერვიუები ძირითად ინფორმანტებთან ჩატარდა, რამაც კვლევის საკითხებთან დაკავშირებით დაინტერესებულ მხარეთა მოსაზრებების სიღრმისეულად შესწავლის საშუალება მოგვცა. კვლევის ფარგლებში 3 ჩაღრმავებული ინტერვიუ ჩატარდა.

<u>სამიზნე ჯგუფები</u>

კვლევის სამიზნე ჯგუფებს წარმოადგენენ:

- ფოთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 14-25 წლის ახალგაზრდები;
- ფოთის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდულ პროგრამებზე მომუშავე საჯარო მოხელეები;
- ფოთის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდებთან მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგნლები.

<u>კვლევის ინსტრუმენტები</u>

ონლაინ გამოკითხვა ჩატარდა წინასწარ შემუშავებული კითხვარების საშუალებით. კვლევის ინსტრუმენტები მომზადდა „სოციალური კვლევისა და ანალიზის ცენტრის“ მიერ ახალგაზრდობის სააგენტოსთან მჭიდრო თანამშრომლობით. ონლაინ გამოკითხვის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოკითხვის ხანგრძლივობა დაახლოებით 30-40 წუთი იყო.

სიღრმისეული ინტერვიუ და ჯგუფური დისკუსია წარიმართა წინასწარ მომზადებული გზამკვლევის მეშვეობით, რომელიც ახალგაზრდობის სააგენტოსთან მჭიდრო თანამშრომლობით შემუშავდა. სიღრმისეული ინტერვიუს ხანგრძლივობამ საშუალოდ 40 წუთი, ფოკუსური დისკუსიის ხანგრძლივობამ კი, საშუალოდ, 1.5 საათი შეადგინა.

<u>რესპონდენტთა შერჩევა</u>

რაოდენობრივი კვლევა ჩატარდა ფოთის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდებთან, რომელთა ასაკი 14-25 წელია.

კოვიდ-19-ის პანდემიის გამო შექმნილი მდგომაროებიდან გამომდინარე შერჩევის სახედ განისაზღვრა ხელმისაწვდომი შერჩევა, რომლის ფარგლებში გათვალიწინებული იყო პოპულაციის მნიშვნელოვანი მახასიათებლები (სტრატები) - ასაკობრივი ჯგუფები და სქესი.

<u>მონაცემთა შეგროვება და ანალიზი</u>

ფოთის მუნიციპალიტეტში ონლაინ გამოკითხვა 2020 წლის 3 დეკემბრიდან 23 დეკემბრამდე პერიოდში მიმდინარეობდა, ხოლო ფოკუს ჯგუფები და ჩაღრმავებული ინტერვიუები - ნოემბრის მეორე ნახევარსა და დეკემბრის პირველ ნახევარში ჩატარდა.

აღსანიშნავია, რომ რაოდენობრივ მონაცემთა შეგროვება განხორციელდა ფოთის მუნიციპალიტეტის, ახალგაზრდობის სააგენტოსა და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების დახმარებით.

მონაცემთა ანალიზის დაწყებამდე, მიღებული რაოდენობრივ მონაცემთა ბაზა გაიწმინდა, ხოლო მონაცემები SPSS 26-ის გამოყენებით გაანალიზდა. თვისებრივი მონაცამები კი კონტენტ ანალიზის საშუალებით გაანალიზდა.

<u>კვლევის შეზღუდვები</u>

ვინაიდან რაოდენობრივ მონაცემთა შესაგროვებლად ონლაინ გამოკითხვის მეთოდი გადაწყდა, ყველა ის შეზღუდვა, რაც ონლაინ გამოკითხვას თან ახლავს, ვრცელდება წინამდებარე კვლევაზეც. ეს შეზღუდვებია:

- ვისაც ინტერნეტთან წვდომა არ აქვს, კვლევაში მონაწილეობას ვერ იღებს;
- გამოკითხვა დროში გაჭიმულია;
- მკვლევარი ვერ აკონტროლებს კითხვარის შევსების გარემოებებს;

გარდა ამისა, ახალგაზრდობის სააგენტოსთან ერთად, მუნიციპალიტეტის თანამშრომლები რესპონდენტთა შერჩევის პროცესში აქტიურად იყვნენ ჩართული, რაც კვლევის შეზღუდვად უნდა ჩაითვალოს, რადგან კვლევა რესპონდენტთა მიერ ახალგაზრდული მიმართულებით მუნიციპალიტეტის საქმიანობის შეფასებას მოიცავს.

თვისებრივი კვლევის შედეგები

ფოთის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების საჭიროებების შესასწავლად კვლევაში მონაწილეობა თავად ახალგაზრდებმა, მუნიციპალიტეტის მერიისა და ორი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელმა მიიღეს, რომლებიც ახალგაზრდების განვითარების საკითხებზე მუშაობენ. არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელების გამოცდილება ამ სფეროში 5 წელზე მეტ ხანს ითვლის, ხოლო სახელმწიფო სტრუქტურის წარმომადგენელი დაახლოებით 1 წელია, რაც კონკრეტულ პოზიციაზე[1] მუშაობს. რაც შეეხება ფოკუს ჯგუფებში მონაწილე ახალგაზრდებს, მათი ასაკი 14-დან 26 წლამდე მერყეობს და ფოთის მუნიციპალიტეტის მცხოვრებლები არიან.

ახალგაზრდების წინაშე მდგარი გამოწვევები

ფოკუს ჯგუფის წევრების საუბრიდან გამოიკვეთა მუნიციპალიტეტში არსებული რამდენიმე პრობლემა, რომელიც ახალგაზრდებს აწუხებს, კერძოდ:

- **ახალგაზრდული სივრცეების, კულტურული და გასართობი ადგილების ნაკლებობა;**
- **სამუშაო ადგილების სიმცირე;**
- **უმაღლესი და არაფორმალური განათლების ხელმისაწვდომობის პრობლემა;**
- **სპორტული ინფრასტრუქტურის გაუმართაობა, სპორტული წრეების მრავალფეროვნების პრობლემა;**
- **საჯარო ბიბლიოთეკებში შესაბამისი ინფრასტრუქტურის არარსებობა;**
- **მიგრაციის პრობლემა;**
- **ახალგაზრდების ინფორმირებულობის დაბალი დონე სხვადასხვა აქტივობისა და შესაძლებლობის შესახებ.**

მონაწილეები თანხმდებიან, რომ მუნიციპალიტეტში არ არსებობს ისეთი დაწესებულება, სივრცე, სადაც ახალგაზრდები შეიკრიბებიან და თავისუფალ დროს ნაყოფიერად გაატარებენ. ძირითადი ნაწილი თავისუფალ დროს მეგობრებთან ერთად ყოფნას, წიგნის კითხვასა და მუსიკის მოსმენას უთმობს. ახალგაზრდები აღნიშნავენ, რომ ფოთში რამდენიმე ადგილია, სადაც ახალგაზრდები იკრიბებიან, რაც საკმარისი არ არის და მეგობრებთან შესახვედრად პატარა კაფეებისა და სხვა დაწესებულებების არსებობას ისურვებდნენ.

მონაწილეების ნაწილი აცხადებს, რომ აქტიურადაა ჩართული საოჯახო საქმეებში. აღსანიშნავია, ფოკუს ჯგუფის მონაწილეები, მათ შორის არასრულწლოვანი მონაწილეები აღნიშნავენ, რომ ჩართული არიან სახლის დალაგებაში და ასევე დადიან პროდუქტების საყიდლად.

ფოკუს ჯგუფის მონაწილეების აზრით, მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტში კულტურული და საგანმანათლებლო აქტივობებისთვის სივრცეების შექმნა, სადაც ახალგაზრდები შეძლებენ თავისუფალი დროის ნაყოფიერად გატარებას. რესპონდენტთა

[1] რესპონდენტის იდენტიფიცირების თავიდან ასაცილებლად არ სახელდება პოზიცია.

თქმით, მუნიციპალიტეტში არ არსებობს კინოთეატრი ან გართობის სხვა საშუალება, სადაც ახალგაზრდები თავისუფალ დროს გაატარებენ. ერთ-ერთი რესპონდენტი აღნიშნავს, რომ თეატრის ფუნქციონირებაც შეჩერებულია შენობის ავარიულობის გამო. რესპონდენტები საუბრობენ, რომ ინფრასტრუქტურის გაუმართაობის გამო არ არის ბევრი სასეირნო ადგილი. ახალგაზრდების ნაწილი აცხადებს, რომ ისურვებდნენ ფოთში გაიხსნას მაკდონალდსი.

რესპონდენტების ნაწილი საუბრობს არაფორმალური განათლების ხელმისაწვდომობის პრობლემაზე. მათი განცხადებით, სკოლაში ფორმალური განათლების მიღებასთან ერთად ძალიან მნიშვნელოვანია არაფორმალური განათლების მიღებაც, რისი შესაძლებლობაც ფოთში ნაკლებად არის. რესპონდენტების ნაწილი ამბობს, რომ თბილისში მიდიან არაფორმალური განათლების აქტივობებში ჩასართავად.

რამდენიმე რესპონდენტი საუბრობს ბიბლიოთეკით სარგებლობასთან დაკავშირებულ პრობლემაზეც, მათი თქმით, საჯარო ბიბლიოთეკების ინფრასტრუქტურა გასაახლებელია, რომ მსურველმა შეძლოს სამკითხველო დარბაზებით სარგებლობა.

გარდა ამისა, ახალგაზრდების ნაწილი პრობლემად ასახელებს ფოთში უმაღლესი სასწავლებლის არქონასაც. მათი თქმით, გაიხსნა საზღვაო აკადემია, თუმცა ისურვებდნენ უმაღლესი სასწავლებლის არსებობასაც. რესპონდენტების აზრით, მნიშვნელოვანია ფოთში არსებობდეს სტუდენტური ცხოვრება, რაც შეამცირებდა მიგრაციის დონეს და ასევე, მეტი სამუშაო ადგილის გაჩენასაც შეუწყობდა ხელს.

კვლევის მონაწილეებმა ყურადღება გაამახვილეს სპორტული წრეების ნაკლებობაზე. ერთ-ერთი არასრულწლოვანი ახალგაზრდა საუბრობს, რომ მუნიციპალიტეტში არ არის სპორტული წრეების მრავალფეროვნება, მაგალითად, ფრენბურთის წრე. გარდა ამისა, რამდენიმე რესპონდენტი საუბრობს სპორტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების საჭიროებაზეც.

ახალგაზრდები დასაქმების პრობლემას ერთ-ერთ ძირითად პრობლემად ასახელებენ. რესპონდენტთა განცხადებით, ახალგაზრდებს დიდ ქალაქებში უფრო მეტად შეუძლიათ დასაქმდნენ, რადგან ბევრი დაწესებულება არსებობს, ხოლო ფოთში კი ახალგაზრდების დასაქმება პრობლემას წარმოადგენს. მათი თქმით, ახალგაზრდები ზაფხულში სეზონურად სხვა ზღვისპირა ქალაქებში საქმდებიან, სადაც მეტი ტურისტია. რესპონდენტები ამბობენ, რომ ფოთსაც აქვს ტურისტულად განვითარების პოტენციალი, რაც ახალგაზრდების დასაქმებას ხელს შეუწყობდა. გარდა ამისა, ახალგაზრდები აღნიშნავენ, რომ ფოთში, შრომის ბაზრის მოთხოვნიდან გამომდინარე, რთულია სხვადასხვა პროფესიის ადამიანისთვის დასაქმება, გარდა ამისა, ანაზღაურებაც თბილისთან შედარებით დაბალია. ახალგაზრდების ნაწილი საუბრობს დასაქმებისას პროტექციონიზმის შემთხვევებზეც. მათი თქმით, დასაქმების საიტებზე იშვიათად თავსდება ვაკანსიები ფოთში, ხოლო სამსახურში აყვანის გავრცელებული გზა კი ნაცნობობაა. გარდა ამისა, არასრულწლოვანი რესპონდენტები საუბრობენ, რომ მათ და ბევრ მათ თანატოლს აქვთ დასაქმების სურვილი, თუმცა ვერ პოულობენ სამუშაო ადგილს. მათი განცხადებით, ამის ერთ-ერთი მიზეზი

ისიცაა, რომ მუნიციპალიტეტში არ არის სივრცეები, მაგალითად, კაფეები, კინოთეატრი, სადაც ახალგაზრდას შეუძლია დასაქმდეს.

ახალგაზრდების განცხადებით, ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ახალგაზრდების მიგრაციაც. მათი თქმით, იქიდან გამომდინარე, რომ ახალგაზრდებს რეალიზების ნაკლები შესაძლებლობა ეძლევათ, ხდება ახალგაზრდების გადინება და უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ აღარ ბრუნდებიან მუნიციპალიტეტში.

გარდა ამისა, ახალგაზრდების თქმით, პრობლემას წარმოადგენს ისიც, რომ ახალგაზრდები ნაკლებად არიან აქტიურები და არ იჩენენ ინიციატივას. ახალგაზრდების ნაწილი საუბრობს ინფორმაციის გავრცელების პრობლემაზეც. მათი თქმით, არის შემთხვევები, როდესაც პოსტფაქტუმ გაიგეს სხვადასხვა ღონისძიების ჩატარების შესახებ.

„ძალიან ხშირად გვქონია ის მომენტი, რომ შეკრება გვინდოდა და არ ვიცოდით სად შეკრებილიყავით და სად გაგვეტარებინა დრო. მოგვიწია ერთ-ერთი მეგობრის სახლში შეკრება, ვინაიდან და რადგანაც ფოთში არ გვაქვს რამე ისეთი, რითიც შეგვიძლია გავერთოთ.“ (ქალი, 16 წლის, ფოთის მუნიციპალიტეტი)

„ჩემამდე ძალიან იშვიათად მოდის ინფორმაცია. ჩემი აზრით, როდესაც რაღაცას აკეთებ, ინფორმირებულობაც უნდა ხდებოდეს მთელი ქალაქის მასშტაბით. მე, მაგალითად, არ ვიცი პროგრამების შესახებ და დამეთანხმება აქ მყოფი ახალგაზრდების დიდი ნაწილი, რომ არც მათ გაუგონიათ მსგავსი არაფერი. თუ ქალაქის 50%-მა პროცენტმა არ იცის მათი ღონისძიებების შესახებ, ეგეც მათი პრობლემაა. ინტერნეტთან მაქვს 24 საათიანი წვდომა და მე თუ არ ვარ ინფორმირებული, დარწმუნებული ვარ, რომ დაახლოებით 60% არ იქნება ინფორმირებული. ისიც მათი პრობლემაა, რომ მათი ჩატარებული ღონისძიება არ გვინახავს და ისიც, რომ არ ჩაუტარებიათ საერთოდ მგონი.“ (ქალი, 14 წლის, ფოთის მუნიციპალიტეტი)

„ყოფილა მერიის მიერ ორგანიზებული პროექტი და მე გვიან გავიგე ეს ყველაფერი. ჩემი ორი მეგობარია ჩართული, რომლის მშობლებიც მუშაობენ მერიაში. ძალიან სასაცილო ფაქტია ეს, მაგრამ სიმართლეა.“ (ქალი, 14 წლის, ფოთის მუნიციპალიტეტი)

„მე ვფიქრობ, რომ სკოლის შემდგომ შეიძლება მეტი განათლებაც კი მიიღო მსგავსი პროექტებით და აქტივობებით და ეს ნაკლებად არის. რაღაც აქტივობა შეიძლება დაიგეგმოს, ერთადერთი არის, რომ საინიციატივო ჯგუფი შეიქნას და კონკრეტული ადგილი დაალაგონ და მე ვფიქრობ, რომ ამას კი აქვს მოხალისეობრივი ხედვა, მაგრამ ეს ვერ მისცემს ადამიანს განათლებას, ანუ მსგავსი პროექტები აკლია ქალაქს. რაც შეეხება კონკრეტულ გასართობ ადგილებს, რომ მოუნდეს აქ არ არის საუბარი რესტორნებზე და მსგავს დაწესებულებებზე, რამე სივრცე რომ მოუნდეს ახალგაზრდას, ჩაატაროს ან შეხვედრა, ან რაიმე ისეთი პროექტი განახორციელოს, სადაც გაუზიარებს თავის მოსაზრებებს ახალგაზრდებს, გაგიჭირდება ასეთი ადგილის მოძიება.“ (კაცი, 20 წლის, ფოთის მუნიციპალიტეტი)

„ჩვენთან ბიბლიოთეკაც არ არის იმ მდგომარეობაში, რომ მოსწავლე, ახალგაზრდა მივიდეს და ისარგებლოს ბიბლიოთეკის სერვისით და ა.შ. გარდა ამისა, ცუდი სიტუაციაა სპორტულ-გამაჯანსაღებელი კუთხითაც, მუნიციპალიტეტი ცდილობს პერიოდულად, რომ განაახლოს, რა თქმა უნდა, არის გარკვეული გაუმჯობესება, თუმცა ეს არ გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ ახალგაზრდებს შეუძლიათ აი ამ მიმართულებით განვითარდნენ. არ არის გართობის საშუალებები, არ არის კინო, თეატრი გაჩერებულია არამარტო კორონას გამო, არამედ ავარიულობიდან გამომდინარე" (ქალი, 25 წლის, ფოთის მუნიციპალიტეტი)

კვლევაში მონაწილე ახალგაზრდების ძირითად ნაწილს მიაჩნია, რომ მუნიციპალიტეტში არსებული პრობლემები ნაკლებად განსხვავდება ახალგაზრდის სხვადასხვა ჯგუფისთვის.

ფოკუს ჯგუფის მონაწილეებმა ისაუბრეს, თუ როგორ შეიძლება მათ მიერ დასახელებული პრობლემების გადაჭრა. რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ პრობლემები უნდა გადაიჭრას მუნიციპალიტეტთან ურთიერთთანამშრომლობით და ახალგაზრდების ჩართულობით. ახალგაზრდების განცხადებით, მუნიციპალიტეტის მხრიდან უნდა მოხდეს დაინტერესება ახალგაზრდების საჭიროებებისა და პრობლემების მიმართ. შემდეგ კი თანამშრომლობით და ახალგაზრდებთან კომუნიკაციით უნდა დაიწყოს ამ საკითხების მოგვარება. რამდენიმე რესპონდენტის განცხადებით, მუნიციპალიტეტმა უნდა უზრუნველყოს ახალგაზრდების დასაქმება და დაინტერესება, რომ დაბრუნდნენ მუნიციპალიტეტში. რამდენიმე სრულწლოვანი მონაწილე აცხადებს, რომ კარგი იქნება, თუ დაინერგება ახალგაზრდების სტაჟირების პროგრამები.

რესპონდენტების აზრით, თავად ახალგაზრდებმაც უნდა გამოიჩინონ ინიციატივები. 18-22 წლის რამდენიმე რესპონდენტმა განაცხადა, რომ სხვადასხვა პროექტის ფარგლებში მოიპოვეს დაფინანსება და ქალაქისთვის სასარგებლო აქტივობები განახორციელეს, მაგალითად, შეიქმნა ლაბორატორია და ეკო კლუბი. ახალგაზრდების განცხადებით, მუნიციპალიტეტთან ერთად მნიშვნელოვანია მათი აქტიურობაც.

„ჩემი აზრით, მუნიციპალიტეტმა უნდა იაქტიუროს, რაც რეალურად შეუწყობს როგორც ეკონომიკის განვითარებას, ასევე ფოთელი ახალგაზრდების დაინტერესებას, რომ დაბრუნდნენ თავიანთი ქალაქში და შეცვალონ რაღაც." (ქალი, 18 წლის, ფოთის მუნიციპალიტეტი)

„ჩემი აზრით, მაინც ფინანსურ მხარესთან გავდივართ იმიტომ, რომ ფინანსური მხარე თუ ძლიერი არ იქნა, შესაბამისად, დასაქმებაც ძალიან ძნელი ხდება და ჩემი აზრით, მუნიციპალიტეტმა ესე არ უნდა იაზროვნოს, რომ მოდი აი ხვალ დავიწყებ ან ზეგ, აი დღეიდან. პირველი საფეხურიდან უნდა დავიწყოთ რაღაცები, არამარტო მე, არამედ შიგნითაც და ყველამ, ზოგადად ქალაქმა, რომ ამ ქალაქში რაღაცა გამოჩნდეს ისეთი, რომ მინიმუმ ახალგაზრდები მაინც იყოს დასაქმებული და არამარტო ახალგაზრდები." (კაცი, 22 წლის, ფოთის მუნიციპალიტეტი)

ახალგაზრდების წინაშე მდგარი გამოწვევების შესახებ საუბარი მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლსაც სთხოვეს. ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლის თქმით, ახალგაზრდების წინაშე მდგარი პრობლემებიდან ძირითადია **ახალგაზრდული სივრცეების ნაკლებობა.** მისი თქმით, ახალგაზრდებს სჭირდებათ თანამედროვე ახალგაზრდული სივრცეები, სადაც შეძლებენ თავიანთი ინტერესების რეალიზებას. გარდა ამისა, რესპონდენტი საუბრობს ახალგაზრდული **არასამთავრობო ორგანიზაციების მცირე რაოდენობაზე.** მისი თქმით, ფოთში სულ ორი არასამთავრობო ორგანიზაციაა, რაც ვერ უზრუნველყოფს ახალგაზრდების სხვადასხვა აქტივობაში ჩართვას. გარდა ამისა, რესპონდენტის განცხადებით, პრობლემას წარმოადგენს **ახალგაზრდების მიგრაცია,** ასევე, **უმაღლესი სასწავლებლის არარსებობა,** სადაც დაინტერესებულ ახალგაზრდას შესაძლებლობა ექნება სხვადასხვა პროფესიას დაეუფლოს.

მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლის თქმით, პრობლემები განსხვავდება ახალგაზრდების ასაკის მიხედვით. როგორც რესპონდენტი აღნიშნავს, 14-დან 17-წლამდე ახალგაზრდების საჭიროებები უკავშირდება გართობას და თავისუფალი დროის ეფექტურად გამოყენებას, ხოლო შედარებით მაღალი ასაკის ახალგაზრდებისთვის კი აქტუალური სოციალური საკითხები და დასაქმებაა.

> *„ფოთში ყველაზე რთულად დგას ახალგაზრდებში ახალგაზრდული ცენტრის, ახალგაზრდული სივრცის არსებობის საჭიროება. სამწუხაროდ, არ გვაქვს თანამედროვე სახის ახალგაზრდული სივრცე შესაკრებად. თანამედროვე სახის ახალგაზრდული სივრცე არ არის საკრებულოს დარბაზი, არ არის ბიბლიოთეკა, შესაბამისად, ითხოვენ იმას, რომ ეს იყო თანამედროვე, ულტრა თვისებებით აღჭურვილი შენობა, რომელშიც ყველა ახალგაზრდა თავის უნარს მისცემს განვითარებას... ორი არასამთავრობო ორგანიზაცია ფუნქციონირებს ქალაქში, ძალიან მიზერულია მათი გავლენა ახალგაზრდებზე. რეალურად ძლიერი ინსტიტუციები ახალგაზრდული მიმართულებით, გარდა საჯარო სამსახურისა, ქალაქში არ არის.“ (სახელმწიფო სექტორის წარმომადგენელი, ფოთის მუნიციპალიტეტი)*

არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების განცხადებით, მუნიციპალიტეტში **მაღალია ახალგაზრდების მიგრაციის მაჩვენებელი.** ერთ-ერთი რესპონდენტი აღნიშნავს, რომ სკოლის დასრულების შემდეგ ახალგაზრდები ტოვებენ ქალაქს და იშვიათად ბრუნდებიან უკან. გარდა ამისა, პრობლემას წარმოადგენს **გასართობი დაწესებულებების სიმცირე,** როგორიც არის კინო და თეატრი.

> *„წარმოიდგინეთ, ფოთში არ არის კინო ბოლო 15 წელია თუ მეტი არა. თუ არ წახვედი ბათუმში, ზუგდიდში, თბილისში, კინოში ისე ვერ მოხვდები და ეს რამხელა ტრაგედიაა ახალგაზრდისთვის. ეხლა თეატრიც არ არის.“ (არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელი, ფოთის მუნიციპალიტეტი)*

ახალგაზრდებისთვის შეთავაზებული პროგრამები/აქტივობები და ინფორმაციის გავრცელების მექანიზმები

კვლევის მონაწილე არასრულწლოვანი ახალგაზრდები აცხადებენ, რომ არ სმენიათ და არც მონაწილეობა მიუღიათ მუნიციპალიტეტის მიერ ორგანიზებულ რაიმე აქტივობაში. რაც შეეხება სრულწლოვან რესპონდენტებს, მათმა ნაწილმა მუნიციპალიტეტის მიერ ორგანიზებული კონკურსი „რა? სად? როდის?“ და პროექტი „ახალგაზრდული იდეა“ დაასახელეს და დადებითად შეაფასეს. ერთ-ერთი რესპონდენტის განცხადებით, მუნიციპალიტეტი აფინანსებს სოციალურად დაუცველ სტუდენტებსაც.

ახალგაზრდების განცხადებით, კარგი იქნება, თუ მერია მოისმენს ახალგაზრდების წინაშე მდგარ პრობლემებს და ახალგაზრდებთან შეხვედრებს ჩაატარებს. ასევე, ისურვებდნენ საგანმანათლებლო, მათ შორის არაფორმალური განათლების მიმართულებით, სპორტული და გასართობი აქტივობების ორგანიზებას. გარდა ამისა, რამდენიმე რესპონდენტმა განაცხადა, რომ მუნიციპალიტეტი უნდა დაეხმაროს ახალგაზრდებს დასაქმების ხელშეწყობით.

> *„პირველ რიგში, უკეთესი იქნება ჩვენც მოგვისმინონ და ჩვენი აზრების მოსმენის შემდეგ მიიღონ გადაწყვეტილება. მათთვისაც უკეთესი იქნება და ჩვენთვისაც. პირველ რიგში, ურთიერთგაგებას შეგვიძლია მივხედოთ, რასაც არ სჭირდება დიდი ფინანსები, ეს ძალიან მარტივია. ამის შემდეგ კი გავაკეთებთ ძალიან ბევრ რამეს.“ (ქალი, 14 წლის, ფოთის მუნიციპალიტეტი)*

> *„ახალგაზრდების იდეა ფოთს, რომელიც გულისხმობდა შემდეგს, რომ ახალგაზრდებს 16 დან 30 წლამდე შეეძლოთ წარედგინათ საკუთარი იდეები ინფრასტრუქტურის მიმართულებით და ამისთვის გამოყოფილი იყო 300 000 ლარი. ესეთი პრეცენდენტი საქართველოში პირველად ფოთში იყო, რომელიც ახალგაზრდებზე იყო ორიენტირებული.“ (ქალი, 25 წლის, ფოთის მუნიციპალიტეტი)*

> *„ვფიქრობ, ახალგაზრდული ცენტრის მოწყობა, სადაც ახალგაზრდებს შეეძლებათ ისარგებლონ იმ სიკეთეებით, რომელსაც სივრცე შესთავაზებს მათ, იქნება კარგი. გარკვეული ბიუჯეტი გამოყოს მუნიციპალიტეტმა იმისთვის, რომ ახალგაზრდებმა შემოიტანოს განაცხადი, შემდეგ თვითონ მოსახლეობამ აირჩიოს ამ განაცხადებიდან საუკეთესო და რავი რაღაც მიმდინარე წლის ზაფხულში განხორციელდეს, რაც მათ სურვილებსა და გემოვნებაზე იქნება მოწყობილი.“ (ქალი, 25 წლის, ფოთის მუნიციპალიტეტი)*

კვლევის მონაწილეების ნაწილს სმენია ახალგაზრდული ორგანიზაციების მიერ განხორციელებული პროექტების შესახებ. მონაწილეებმა დაასახელეს ფონდ „ბილივის“ და ახალგაზრდა დიპლომატთა ასოციაციის მიერ განხორციელებული პროექტების შესახებ. მონაწილეების დადებითად აფასებენ არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობას.

18-22 წლის ახალგაზრდების განცხადებით, კარგი იქნება, თუ ფოთში გაიხსნება ტრენინგ ცენტრი, სადაც დაინტერესებულ ახალგაზრდებს შესაძლებლობა ექნებათ დაესწრონ ტრენინგებს, მოიწვიონ სხვადასხვა პროფესიის ადამიანები. ახალგაზრდების განცხადებით, ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია არასამთავრობო ორგანიზაციების როლი. მათი თქმით, არასამთავრობო ორგანიზაციების აქტივობებში ჩართვა ახალგაზრდებს ეხმარება გახდნენ უფრო აქტიურები, მეტად კომუნიკაბელურები და განავითარონ ის უნარ-ჩვევები, რასაც სკოლაში ვერ იღებენ.

„...„ბილივის“ საქმიანობას ხაზი რომ არ გავუსვა, არ შემიძლია იმიტომ, რომ ყოველწლიურად ატარებენ პროექტს „ახალგაზრდული ინიციატივა“ ქალაქისთვის და ბავშვებს ასწავლიან პროექტის წერას, ბიუჯეტის გაწერას და ზოგადად, ძალიან კარგი ხარისხით ატარებენ და ძირითადად არიან ორიენტირებულები შშმ პირების ინტერესებზე.“ (ქალი, 18 წლის, ფოთის მუნიციპალიტეტი)

„არასამთავრობო ორგანიზაციებმა კომუნიკაბელურობის გაზრდა შეიძლება მოახერხოს ახალგაზრდებში და ასევე, ინტერესის გაღვივება. ჩემი კლასელები არ იყვნენ დაინტერესებულები, მაგრამ ჩაატარა რომელიღაცა ორგანიზაციამ რაღაც პროექტი და დავინახე, რომ დაინტერესება იყო მათში და კიდევ ითხოვდნენ, რომ მსგავსი პროექტები ჩატარებულიყო.“ (კაცი, 18 წლის, ფოთის მუნიციპალიტეტი)

რაც შეეხება ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელის მოსაზრებებს ახალგაზრდებისთვის შეთავაზებული აქტივობების დაგეგმვისა და განხორციელების შესახებ, რესპონდენტი ამბობს, რომ მუნიციპალიტეტი ახალგაზრდებს სხვადასხვა კულტურულ, გასართობ და სპორტულ ღონისძიებას სთავაზობს. მისი თქმით, იმართება ინტელექტუალური შეჯიბრი „რა? სად? როდის?“, ასევე მუნიციპალიტეტის ორგანიზებით იმართება პროექტი ფოთის მოხალისე, რომელიც აერთიანებს 14-29 წლის ახალგაზრდებს და უზრუნველყოფს სპორტულ, კულტურულ და ახალგაზრდულ ღონისძიებებში მათ ჩართულობას. გაწეული მოხალისეობრივი საქმიანობისთვის მათთვის ეწყობა უფასო ექსკურსები. გარდა ამისა, ახალგაზრდებისთვის ეწყობა ბანაკები, სპორტული და გასართობი აქტივობები. რესპონდენტის განცხადებით, ახალგაზრდული მიმართულებით მნიშვნელოვანია მეტი ფინანსური რესურსის გამოყოფა, რომ მეტი პროექტი განხორციელდეს და მეტი ახალგაზრდა ჩაერთოს აღნიშნულ პროექტებში.

„ზოგადად, ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელებას, საერთო ჯამში, ქალაქში სჭირდება მეტი ფინანსური რესურსი. 2000 ლარად ინტელექტუალური თამაშების ფესტივალი როგორ უნდა ჩაატარო 200 ახალგაზრდის ჩართულობით. პრიზი ხომ უნდა იყოს მამოტივირებელი. 21-ე საუკუნეში ვართ და არ მუშაობს მარტო სერთიფიკატი. რაღაცა მოტივაცია უნდა იყოს, რომ ლეპტოპი შეძლო აჩუქო, ან ნეთბუქი, ან რაღაცა ისეთი, ისევ მის განვითარებას რომ მოხმარდება და არა უბრალოდ რაღაც გასართობი.“ (სახელმწიფო სექტორის წარმომადგენელი, ფოთის მუნიციპალიტეტი)

რესპონდენტის განცხადებით, მუნიციპალიტეტი კონკრეტულ ნაბიჯებს დგამს პრობლემების მოსაგვარებლად. მისი თქმით, პროექტი „ახალგაზრდული იდეა“ სწორედ ამას ემსახურება, რადგან ითვალისწინებს ქალაქის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას.

ამასთანავე, რესპონდენტის თქმით, ფოთში საზღვაო აკადემიის შექმნა ხელს შეუწყობს ქალაქში ახალგაზრდების მოზიდვას და მათთვის ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობის შექმნას. რაც შეეხება დასაქმების მიმართულებას, მისი განცხადებით, მუნიციპალიტეტის ორგანიზებით ეწყობა ტრენინგები, სადაც ახალგაზრდებს აქვთ შესაძლებლობა მეტი გაიგონ რეზიუმეს შედგენის და გასაუბრების წარმატებით წარმართვის უნარ-ჩვევების შესახებ. გარდა ამისა, რესპონდენტის განცხადებით ახალგაზრდების ინფორმირებულობის გასაზრდელად ატარებენ საინფორმაციო ხასიათის შეხვედრებს ნატოს, ევროკავშირის და სხვა საკითხების შესახებ.

„შევქმენით პლატფორმა - „შენი იდეა ფოთს“. ეს პლატფორმა უკვე ძალიან კარგად მუშაობს, სოციალურ ქსელშიც პოზიტიური გამოხმაურება აქვს და ეს პროექტი რეალურად ამ პრობლემების მოგვარებისკენ პირველ ნაბიჯებს დგამს. სასწავლების მიმართულებას რაც შეეხება, უკვე მუნიციპალიტეტმა კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა დაიწყო ცენტრალური ხელისუფლების დახმარებით. აი, იმ სასწავლებლის რეაბილიტაციაზე, რომელიც 1600-მდე სტუდენტს დაუტოვებს ქალაქს, მოწვეული ლექტორები იქნება და გამოაცოცხლებს ეს ქალაქს. დასაქმების მიმართულებით საჯარო სამსახურის, ჩვენი მიმართულებით რაც შეგვიძლია გავაკეთოთ, ეს არის ტრენინგების შეთავაზება, ვორქშოფების შეთავაზება, CV-ის სწორად დაწერა, გასაუბრებაზე კონკრეტული, როგორ გითხრათ მორალური, ფსიქოლოგიური თავისებურებების გათვალისწინება, რომ ვასწავლოთ და ისინი იყვნენ კონკურენტუნარიანები დასაქმების ბაზარზე. ასევე ვცდილობთ ზოგად ინფორმირებას ახალგაზრდების, ზოგადად, პოლიტიკურ საკითხებზე, მათ შორის ევროკავშირზეც, ნატოზეც, ევროპის ეკონომიკურ ბაზრებზე და ა.შ.“ (სახელმწიფო სექტორის წარმომადგენელი, ფოთის მუნიციპალიტეტი)

მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლის განცხადებით, ისინი ინფორმაციას კვლევების საშუალებით აგროვებენ, გარდა ამისა, მუდმივი კომუნიკაცია აქვთ ახალგაზრდებთან და მათ პროექტებში ჩართულ ახალგაზრდებს ეკითხებიან რა საჭიროებების წინაშე დგანან. რესპონდენტის განცხადებით, ინფორმაციის შეგროვება სისტემატურად, წელიწადში ორჯერ ხდება, საკრებულოში ანგარიშის წარდგენისას.

რაც შეეხება არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ შეთავაზებულ აქტივობებს, ისინი ძირითადად სხვადასხვა მოწყვლად ჯგუფებთან მუშაობენ, გარდა ამისა, ახორციელებენ საგანანმანათლებლო და კულტურულ აქტივობებსაც ახალგაზრდებისთვის. ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლის განცხადებით, ახორციელებენ მუნიციპალიტეტში არსებული სხვა არასამთავრობო ორგანიზაციების განვითარების ხელშემწყობ აქტივობებსაც.

„მხარს ვუჭერთ სოციალურად დაუცველ ოჯახებს და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს. რაც შეეხება საგანმანათლებლო მიმართულებით საქმიანობას, საგანმანათლებლო კუთხით არაფორმალური განათლების შესაძლებლობას ვაძლევთ ფოთში მცხოვრებ მოსწავლეებს მე-9 - მე-12 კლასის ჩათვლით. მათთვის ვგეგმავთ შეხვედრებს, სემინარებს, ტრენინგებს და ვაძლიერებთ მათ ამ მიმართულებით.

საგანმანათლებლო კუთხით ვაძლიერებთ ქალაქში მოქმედ არასამთავრობო ორგანიზაციებსაც, გვქონდა გამოცდილებაში, რომ მათთვის ვაკეთებდით საინფორმაციო შეხვედრებს, მათ ვასწავლეთ პროექტების მომზადება, წერა, მართვა და შემდგომ მივეცით შესაძლებლობა, რომ ჩვენივე გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში მიეღოთ მონაწილეობა და კონკრეტული პროექტების განხორციელების შესაძლებლობა ჰქონოდათ. ასევე ქალაქში არსებობს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა ცენტრი, რომლის პედაგოგებისთვის, თანამშრომლებისთვის რამდენჯერმე განვახორციელეთ საგანმანათლებლო ტიპის შეხვედრა, მათი საჭიროებებიდან გამომდინარე.“ (არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლი, ფოთის მუნიციპალიტეტი)

არასამათავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ინფორმაციის გასავრცელებლად, ძირითადად, სოციალურ ქსელებს მიმართავენ. გარდა ამისა, თანამშრომლობენ სკოლებთან და რესურს ცენტრებთან. ამასთანავე, ინფორმაციას ავრცელებენ მოხალისეების საშუალებით. ერთ-ერთი რესპონდენტის განცხადებით, ინფორმაციის გავრცელება პრობლემას წარმოადგენს, რადგანაც მოსახლეობა არ არის აქტიური.

არასამათავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების თქმით, ინფორმაციას ახალგაზრდების საჭიროებების შესახებ თავად ახალგაზრდებთან კომუნიკაციის შედეგად აგროვებენ. გარდა ამისა, მათი განცხადებით, საკუთარი გამოცდილებითაც იციან ახალგაზრდული საჭიროებების შესახებ. ერთ-ერთი ორგანიზაციის წარმომადგენლის განცხადებით, ატარებენ კვლევებს, ძირითადად, ონლაინ გამოკითხვას მიმართავენ.

რაც შეეხება მუნიციპალიტეტთან თანამშრომლობას, ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლი აცხადებს, რომ ცდილობენ აქტიურად ჩაერთონ მუნიციპალიტეტის მიერ ორგანიზებულ სხვადასხვა აქტივობაში და იყვნენ კრიტიკულები. მისი განცხადებით, სასურველია მუნიციპალიტეტი მეტად დაინტერესდეს არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობით და ხელი შეუწყოს მათ განვითარებას.

„საქალაქო პროექტებში ჩვენ ყოველთვის ვართ ჩართულები, ვცდილობთ, რომ ყოველთვის კრიტიკულებიც ვიყოთ და ამასთანავე მაქსიმალურად ვითანამშრომლოთ. ალბათ იმას ვისურვებდი, რომ მეტად იყოს დაინტერესებული მუნიციპალიტეტი არასამთავრობო ორგანიზაციების ცხოვრებით. ყოფილა შემთხვევა, ჩვენ ბევრი რაღაც გაგვიკეთებია, მაგრამ არ მოსულა არასამთავრობოებზე დიდი აქცენტი და შეიძლება ეს ყველაფერი მიეთვისებინა მუნიციპალიტეტს.“ (არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლი, ფოთის მუნიციპალიტეტი)

ახალგაზრდების ჩართულობა

ახალგაზრდები აღნიშნავენ, რომ აქვთ სურვილი ჩაერთონ მუნიციპალიტეტის საქმიანობაში. მათი თქმით, კარგი იქნება, თუ შეიქმნება ახალგაზრდული საბჭოები, ჩატარდება ახალგაზრდების გამოკითხვა. გარდა ამისა, მათი განცხადებით,

მნიშვნელოვანია ახალგაზრდებს დაეთმოთ მნიშვნელოვანი ყურადღება და მათი აზრი მეტად იყოს გათვალისწინებული. რესპონდენტები საუბრობენ მათი უფლებების შესახებ მოსახლეობის ინფორმირებულობის პრობლემაზე და აღნიშნავენ, რომ პირველ რიგში, მნიშვნელოვანია ინფორმირებულობის დონის გაზრდა.

რამდენიმე რესპონდენტი აცხადებს, რომ ჰქონიათ შემთხვევა, როდესაც მიმართეს მუნიციპალიტეტს სხვადასხვა პროექტის განხორციელების ხელშეწყობის თხოვნით, თუმცა უარი მიიღეს. მათი თქმით, აღნიშნული აქვეითებს ახალგაზრდების მოტივაციას, რომ მეტად აქტიურები იყვნენ.

„უნდა გვქონდეს აზრი და უნდა მივიტანოთ აზრი მუნიციპალიტეტთან. ბევრჯერ მქონია ამის მოტივაცია, მაგრამ არც კი მოუსმენიათ. მე პირადად მივედი და არც მომისმინეს. სხვას რომ ეთქვა, ვერც დავიჯერებდი, მაგრამ ჩემიდან გამომდინარე მე ამას ვამბობ და ვიცი, რომ მე არ მომისმინეს.“ (ქალი, 14 წლის, ფოთის მუნიციპალიტეტი)

„რა თქმა უნდა, ახალგაზრდული საბჭო გვაძლევს იმის საშუალებას, რომ რაღაცები განვავითაროთ. გამოკითხვაც რაღაც მიმართულებით კარგია იმიტომ, რომ ასე თუ ისე ვიგებთ ახალგაზრდების აზრს.“ (კაცი, 22 წლის, ფოთის მუნიციპალიტეტი)

„ჩემი აზრით, ქალაქ ფოთში ახალგაზრდები რეალურად არ არიან ჩართულები თვითმმართველობის საკითხების გადაწყვეტაში. რეალურად ახალგაზრდებმა ისიც კი არ იციან, რომ მათ აქვთ უფლება მივიდნენ და ბიუჯეტის ფორმირებაში მიიღონ მონაწილეობა. ანუ როცა ადამიანმა არ იცის ეს, ვერც გამოიყენებს. ზოგი ფიქრობდა, საკრებულოს სხდომაზე მე რა მინდა. ანუ არ აქვს ხალხს იმის ცოდნა, შესაბამისად, ვერც იღებენ მონაწილეობას და ძალიან დაბალია მოსახლეობის აქტიური ჩართულობა ამ საკითხებში.“ (კაცი, 20 წლის, ფოთის მუნიციპალიტეტი)

მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლის განცხადებით, მუნიციპალიტეტი ყველა დაინტერესებულ ახალგაზრდას სთავაზობს, რომ ჩაერთოს მუნიციპალიტეტის საქმიანობაში. მისი თქმით, არსებობს ახალგაზრდული საკრებულო, რომლებიც წარმოადგენენ თავიანთ პროექტებსა და ინიციატივებს. გარდა ამისა, მისი თქმით, ცდილობენ ახალგაზრდების ჩართონ ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესშიც და სთხოვენ დაინტერესებულ ახალგაზრდებს დაესწრონ შეხვედრებს. გარდა ამისა, უკავშირდებიან სკოლის დირექტორებს და სთხოვენ აქტიური ახალგაზრდების მოძიებას, რომლებიც ჩაერთვებიან აღნიშნულ პროცესში. რესპონდენტის განცხადებით, ყოფილა შემთხვევა, როდესაც ახალგაზრდებისთვის პროექტის განხორციელებაზე უარი უთქვამთ ფინანსური რესურსის სიმწირის გამო.

„ჩვენ ახალგაზრდული საკრებულო გვაქვს ფოთში. საკრებულოში კონკრეტული ახალგაზრდები წარმოადგენენ თავიანთ იდეებს, პროექტებს. ეს პროექტები შემდგომ, ჩვენი სამსახურის მეშვეობით, მათთან ერთად წარსდგება მუნიციპალიტეტის შესაბამის ორგანოებში, რომლებიც განაგებენ კონკრეტული იდეის დაფინანსების საკითხს.

ვაცხადებთ, რომ იწყება მომავალი წლის ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაგეგმარების პროცესი, რომელიც უნდა დასრულდეს საბოლოოდ დეკემბერში. შესაბამისად, სანამ ბიუჯეტი იქნება დაგეგმილი, ახალგაზრდული სამსახური ვთხოვთ ახალგაზრდებს, დაესწრონ ამა და ამ შეხვედრას. იგზავნება სკოლებშიც ეს ინფორმაცია, დირექტორებს ევალებათ კონკრეტულად აქტიური ახალგაზრდების გამოძებნა და ამ ღონისძიებაზე დასწრება იდეების წარმოჩენისათვის და შენიშვნებისთვისაც, ვისაც აზრის გამოთქმა შეუძლია უკომპლექსოდ. იყო რამდენიმე შეხვედრა, ისეთი იდეები იყო, რომლებზეც ვერ იტყვი უბრალოდ უარს, მაგრამ უარს გათქმევინებს ფინანსური მომენტი.“ (სახელმწიფო სექტორის წარმომადგენელი, ფოთის მუნიციპალიტეტი)

რაც შეეხება არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს, ისინი აცხადებენ, რომ ახალგაზრდები ჩართული არიან მათ აქტივობებში. ერთ-ერთი ორგანიზაციის წარმომადგენლის განცხადებით, უფრო მეტია გოგონების დაინტერესება, ვიდრე ბიჭების.

„ჩვენი ჯგუფის უმეტესი მონაწილე გოგოა, რა თქმა უნდა, სქესის ნიშნით არ ვარჩევთ ხოლმე და გვინდა, რომ მეტი ბიჭი იყოს ჩართული, მაგრამ სულ პრობლემა არის ეგ. რაც დრო გადის, უფრო ცოტავდება მათი რიცხვი, არ არის დაინტერესება, რთულია 14-15 წლის ბიჭების ჩართულობა.“ (არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელი, ფოთის მუნიციპალიტეტი)

სამომავლო გეგმები

ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლის განცხადებით, სამომავლო გეგმების განსახორციელებლად მნიშვნელოვანია ფინანსური რესურსის არსებობა. მისი თქმით, დაფინანსება, რაც ახალგაზრდულ სამსახურს აქვს, არ იძლევა ფართომასშტაბიანი პროექტების განხორციელების შესაძლებლობას.

რაც შეეხებათ არასამთავრობო ორგანიზაციებს, მათი წარმომადგენლების განცხადებით, გეგმავენ უფრო მასშტაბური პროექტების განხორციელებას და ორგანიზაციული სტრუქტურის გაძლიერებას.

დასკვნა

ფოთის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების საჭიროებების შესასწავლად თვისებრივ კვლევაში მონაწილეობა თავად ახალგაზრდებმა, მუნიციპალიტეტის მერიისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებმა მიიღეს. ახალგაზრდების წინაშე მდგარი გამოწვევების შესახებ საუბრისას ყველა ტიპის რესპონდენტმა, როგორც ახალგაზრდებმა, ისე საჯარო და არასაჯარო სექტორის წარმომადგენლებმა, ახალგაზრდული სივრცეების ნაკლებობა, დასაქმება და მიგრაციასთან დაკავშირებული პრობლემები დაასახლეს, თუმცა მონაწილეები სხვადასხვა სახის გამოწვევაზეც საუბრობენ.

თავად ახალგაზრდების თქმით, მუნიციპალიტეტში არ აქვთ გასართობი სივრცეები, მუნიციპალიტეტში არ არსებობს კინოთეატრი. გარდა ამისა, ერთ-ერთი რესპონდენტი აღნიშნავს, რომ თეატრის ფუნქციონირებაც შეჩერებულია შენობის ავარიულობის გამო. რესპონდენტები საუბრობენ, რომ ინფრასტრუქტურის გაუმართაობის გამო არ არის ბევრი სასეირნო ადგილი. რამდენიმე რესპონდენტი საუბრობს ბიბლიოთეკების პრობლემაზეც, მათი თქმით, საჯარო ბიბლიოთეკების ინფრასტრუქტურა გასაახლებელია, რომ მსურველმა შეძლოს სამკითხველო დარბაზებით სარგებლობა.

რესპონდენტების ნაწილი საუბრობს არაფორმალური განათლების ხელმისაწვდომობის პრობლემაზე. მათი განცხადებით, სკოლაში ფორმალური განათლების მიღებასთან ერთად ძალიან მნიშვნელოვანია არაფორმალური განათლების მიღებაც, რისი შესაძლებლობაც ფოთში ნაკლებად არის.

გარდა ამისა, ახალგაზრდების ნაწილი პრობლემად ასახელებს ფოთში უმაღლესი სასწავლებლის არქონასაც. მათი თქმით, გაიხსნა საზღვაო აკადემია, თუმცა ისურვებდნენ უმაღლესი სასწავლებლის არსებობასაც. რესპონდენტების აზრით, მნიშვნელოვანია, ფოთში არსებობდეს სტუდენტური ცხოვრება, რაც შეამცირებდა მიგრაციის დონეს და ასევე, მეტი სამუშაო ადგილის გაჩენასაც შეუწყობდა ხელს.

ახალგაზრდები დასაქმების პრობლემას ერთ-ერთ ძირითად პრობლემად ასახელებენ. რესპონდენტთა განცხადებით, ახალგაზრდებს დიდ ქალაქებში უფრო მეტად შეუძლიათ, დასაქმდნენ, რადგან ბევრი დაწესებულება არსებობს, ხოლო ფოთში ახალგაზრდების დასაქმება პრობლემას წარმოადგენს. გარდა ამისა, ახალგაზრდები აღნიშნავენ, რომ ფოთში, შრომის ბაზრის მოთხოვნიდან გამომდინარე, რთულია სხვადასხვა პროფესიის ადამიანისთვის დასაქმება, ასევე, ანაზღაურება თბილისთან შედარებით დაბალია. ახალგაზრდების ნაწილია საუბრობს დასაქმებისას პროტექციონიზმის შემთხვევებზეც. მათი თქმით, დასაქმების საიტებზე იშვიათად თავსდება ვაკანსიები ფოთში, სამსახურში აყვანის გავრცელებული გზა კი ნაცნობობაა. აღსანიშნავია, რომ არასრულწლოვან რესპონდენტებსაც აქვთ დასაქმების სურვილი, თუმცა ამბობენ, რომ მათთვის ეს პრობლემური საკითხია და ვერ პოულობენ სამუშაო ადგილს.

ახალგაზრდების განცხადებით, ერთ-ერთ პრობლემას ახალგაზრდების მიგრაცია წარმოადგენს. მათი თქმით, იქიდან გამომდინარე, რომ ახალგაზრდების რეალიზების ნაკლები შესაძლებლობაა, ხდება ახალგაზრდების გადინება და უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ აღარ ბრუნდებიან მუნიციპალიტეტში.

გარდა ამისა, ახალგაზრდების თქმით, პრობლემას წარმოადგენს ისიც, რომ ახალგაზრდები ნაკლებად არიან აქტიურები და არ იჩენენ ინიციატივას. ახალგაზრდების ნაწილი საუბრობს ინფორმაციის გავრცელების პრობლემაზეც. მათი თქმით, არის შემთხვევები, როდესაც პოსტფაქტუმ გაიგეს სხვადასხვა ღონისძიების ჩატარების შესახებ.

ფოკუს ჯგუფის მონაწილეებმა ისაუბრეს, თუ როგორ შეიძლება მათ მიერ დასახელებული პრობლემების გადაჭრა. რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ პრობლემები უნდა გადაიჭრას მუნიციპალიტეტთან ურთიერთთანამშრომლობით და ახალგაზრდების ჩართულობით. ახალგაზრდების განცხადებით, მუნიციპალიტეტის მხრიდან უნდა მოხდეს დაინტერესება

ახალგაზრდების საჭიროებებისა და პრობლემების მიმართ. შემდეგ კი თანამშრომლობით და ახალგაზრდებთან კომუნიკაციით უნდა დაიწყოს ამ საკითხების მოგვარება. რამდენიმე რესპონდენტის განცხადებით, მუნიციპალიტეტმა უნდა უზრუნველყოს ახალგაზრდების დასაქმება და დაინტერესება, რომ დაბრუნდნენ მუნიციპალიტეტში. რამდენიმე სრულწლოვანი მონაწილე აცხადებს, რომ კარგი იქნება, თუ დაინერგება ახალგაზრდების სტაჟირების პროგრამები.

ახალგაზრდების წინაშე მდგარ გამოწვევებზე როგორც მუნიციპალიტეტის მერიის, ისე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებმაც ისაუბრეს. მათი თქმით, ახალგაზრდების წინაშე ბევრი პრობლემა დგას, მათ შორის, ახალგაზრდული სივრცეების ნაკლებობა და მიგრაციასთან დაკავშირებული პრობლემები. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლის განცხადებით, მნიშვნელოვანია, ფოთში არსებობდეს მეტი ახალგაზრდული არასამთავრობო ორგანიზაცია და შეიქმნას ახალგაზრდებისთვის მომუშავე მძლავრი ინსტიტუციური მექანიზმები.

კვლევის მონაწილეებს სთხოვეს, შეეფასებინათ ის პროგრამები, რომელსაც მუნიციპალიტეტი და არასამთავრობო ორგანიზაციები ახორციელებენ. კვლევის მონაწილე არასრულწლოვანი ახალგაზრდები აცხადებენ, რომ არ სმენიათ და არც მონაწილეობა მიუღიათ მუნიციპალიტეტის მიერ ორგანიზებულ რაიმე აქტივობაში. რაც შეეხება სრულწლოვან რესპონდენტებს, მათმა ნაწილმა მუნიციპალიტეტის მიერ ორგანიზებული კონკურსი „რა? სად? როდის?“ და პროექტი ახალგაზრდული იდეა დაასახელეს და დადებითად შეაფასეს.

ახალგაზრდების განცხადებით, კარგი იქნება, თუ მერია მოისმენს ახალგაზრდების წინაშე მდგარ პრობლემებს და ახალგაზრდებთან შეხვედრებს ჩაატარებს. ასევე, ისურვებდნენ საგანმანათლებლო, მათ შორის არაფორმალური განათლების მიმართულებით, სპორტული და გასართობი აქტივობების ორგანიზებას. გარდა ამისა, რამდენიმე რესპონდენტმა განაცხადა, რომ მუნიციპალიტეტი უნდა დაეხმაროს ახალგაზრდებს დასაქმების ხელშეწყობით.

რაც შეეხება არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ განხორციელებულ პროექტებს, ახალგაზრდების ნაწილს სმენია ახალგაზრდული ორგანიზაციების მიერ განხორციელებული პროექტების შესახებ და დადებითად აფასებენ აღნიშნულ აქტივობებს. ახალგაზრდების განცხადებით, კარგი იქნება თუ ფოთში გაიხსნება ტრენინგ ცენტრი, სადაც დაინტერესებულ ახალგაზრდებს შესაძლებლობა ექნებათ დაესწრონ ტრენინგებს, მოიწვიონ სხვადასხვა პროფესიის ადამიანები. ახალგაზრდების განცხადებით, ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია არასამთავრობო ორგანიზაციების როლი. მათი თქმით, არასამთავრობო ორგანიზაციების აქტივობებში ჩართვა ახალგაზრდებს ეხმარება გახდნენ უფრო აქტიურები, მეტად კომუნიკაბელურები და განავითარონ ის უნარ-ჩვევები, რასაც სკოლაში ვერ იღებენ.

რაც შეეხება ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლის მოსაზრებებს ახალგაზრდებისთვის შეთავაზებული აქტივობების დაგეგმვისა და განხორციელების

შესახებ, რესპონდენტი ამბობს, რომ მუნიციპალიტეტი ახალგაზრდებს სხვადასხვა კულტურულ, გასართობ და სპორტულ ღონისძიებას სთავაზობს. რესპონდენტის განცხადებით, მუნიციპალიტეტი კონკრეტულ ნაბიჯებს დგამს პრობლემების მოსაგვარებლად. მისი თქმით, პროექტი „ახალგაზრდული იდეა“ სწორედ ამას ემსახურება, რადგან ითვალისწინებს ქალაქის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას. ამასთანავე, რესპონდენტის თქმით, ფოთში საზღვაო აკადემიის შექმნა ხელს შეუწყობს ქალაქში ახალგაზრდების მოზიდვას და მათთვის ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობის შექმნას. რაც შეეხება დასაქმების მიმართულებას, მისი განცხადებით, მუნიციპალიტეტის ორგანიზებით ეწყობა ტრენინგები, სადაც ახალგაზრდებს აქვთ შესაძლებლობა, მეტი გაიგონ რეზიუმეს შედგენის და გასაუბრების წარმატებით წარმართვის უნარ-ჩვევების შესახებ. გარდა ამისა, რესპონდენტის განცხადებით, ახალგაზრდების ინფორმირებულობის გასაზრდელად ატარებენ საინფორმაციო ხასიათის შეხვედრებს ნატოს, ევროკავშირის და სხვა საკითხების შესახებ.

რაც შეეხება არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ შეთავაზებულ აქტივობებს, ისინი ძირითადად სხვადასხვა მოწყვლად ჯგუფთან მუშაობენ, გარდა ამისა, ახორციელებენ საგანმანათლებლო და კულტურულ აქტივობებსაც ახალგაზრდებისთვის. ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლის განცხადებით, ახორციელებენ მუნიციპალიტეტში არსებული სხვა არასამთავრობო ორგანიზაციების განვითარების ხელშემწყობ აქტივობებსაც.

კვლევისთვის საინტერესო იყო ისიც, თუ როგორ ხდება ახალგაზრდების საჭიროებების შესახებ ინფორმაციის შეგროვება. მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლის განცხადებით, ისინი ინფორმაციას კვლევებისა და ახალგაზრდებთან ურთიერთობის საშუალებით იღებენ. რაც შეეხება არასამთავრობო ორგანიზაციებს, ისინი ინფორმაციას ახალგაზრდების საჭიროებების შესახებ თავად ახალგაზრდებთან კომუნიკაციის შედეგად აგროვებენ. ერთ-ერთი ორგანიზაციის წარმომადგენლის განცხადებით, ატარებენ კვლევებს, ძირითადად, ონლაინ გამოკითხვას მიმართავენ.

მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლის და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების განცხადებით, ახალგაზრდული პროგრამებისა და აქტივობების შესახებ ინფორმაციის გასავრცელებლად იყენებენ სოციალურ ქსელებს. გარდა ამისა, რესპონდენტის განცხადებით, კომუნიკაცია აქვთ სკოლის დირექტორებთან, რესურს ცენტრებთან და მათი დახმარებით ავრცელებენ ინფორმაციას.

კვლევა ასევე სწავლობდა ახალგაზრდების ჩართულობას მუნიციპალიტეტის საქმიანობაში. კვლევაში მონაწილე ახალგაზრდების ძირითადი ნაწილი ამბობს, რომ აქვთ სურვილი ჩაერთონ მუნიციპალიტეტის საქმიანობაში. მათი თქმით, რომ კარგი იქნება, თუ შეიქმნება ახალგაზრდული საბჭოები, ჩატარდება ახალგაზრდების გამოკითხვა. გარდა ამისა, მათი განცხადებით, მნიშვნელოვანია, ახალგაზრდებს დაეთმოთ სათანადო ყურადღება და მათი აზრი მეტად იყოს გათვალისწინებული. რამდენიმე რესპონდენტი აცხადებს, რომ ჰქონიათ შემთხვევა, როდესაც მიმართეს მუნიციპალიტეტს სხვადასხვა

პროექტის განხორციელების ხელშეწყობის თხოვნით, თუმცა უარი მიიღეს. მათი თქმით, აღნიშნული აქვეითებს ახალგაზრდების მოტივაციას, რომ მეტად გააქტიურდნენ.

მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლის განცხადებით, მუნიციპალიტეტი ყველა დაინტერესებულ ახალგაზრდას სთავაზობს, რომ ჩაერთოს მუნიციპალიტეტის საქმიანობაში. მისი თქმით, არსებობს ახალგაზრდული საკრებულო, რომლებიც წარმოადგენენ თავიანთ პროექტებსა და ინიციატივებს. გარდა ამისა, მისი თქმით, ცდილობენ, ახალგაზრდები ჩართონ ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესშიც და სთხოვენ, დაინტერესებულ ახალგაზრდებს დაესწრონ შეხვედრებს. მისი თქმით, უკავშირდებიან სკოლის დირექტორებს და სთხოვენ, აქტიური ახალგაზრდების მოძიებას, რომლებიც ჩაერთვებიან აღნიშნულ პროცესში. რესპონდენტის განცხადებით, ყოფილა შემთხვევა, როდესაც ახალგაზრდებისთვის პროექტის განხორციელებაზე უარი უთქვამთ ფინანსური რესურსის სიმწირის გამო.

რაც შეეხება არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს, ისინი აცხადებენ, რომ ახალგაზრდები ჩართული არიან მათ აქტივობებში. ერთ-ერთი ორგანიზაციის წარმომადგენლის განცხადებით, უფრო მეტია გოგონების დაინტერესება, ვიდრე ბიჭების.

რაც შეეხება მუნიციპალიტეტის მერიის სამომავლო გეგმებს ახალგაზრდულ საქმიანობასთან დაკავშირებით, ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლის განცხადებით, სამომავლო გეგმები აქვთ, თუმცა მათ განსახორციელებლად მნიშვნელოვანია ფინანსური რესურსის არსებობა. მისი თქმით, დაფინანსება, რაც ახალგაზრდულ სამსახურს აქვს, არ იძლევა ფართომასშტაბიანი პროექტების განხორციელების შესაძლებლობას. მისი თქმით, ცენტრალური ხელისუფლებისგან სჭირდება მხარდაჭერა, რომ შეიქმნას ახალგაზრდული ცენტრი.

რაც შეეხებათ არასამთავრობო ორგანიზაციებს, მათი წარმომადგენლების განცხადებით, გეგმავენ უფრო მასშტაბური პროექტების განხორციელებას და ორგანიზაციული სტრუქტურის გაძლიერებას.

რაოდენობრივი კვლევის შედეგები

ახალგაზრდების დემოგრაფიული მახასიათებლები

ფოთის მუნიციპალიტეტის მასშტაბით კვლევაში მონაწილეობა 165-მა ახალგაზრდამ მიიღო, რომელთა ასაკი 14-დან 26 წლამდე მერყეობს. მათგან 56 ახალგაზრდა (34%) 14-17 წლის ასაკობრივ ჯგუფში ექცევა, 52 ახალგაზრდა (32%) - 18-22 წლის ასაკობრივ კატეგორიაში, ხოლო 23-25 წლის ასაკობრივ ჯგუფში 57 ახალგაზრდაა (35%) (იხ. დანართი, ცხრილი 1). გამოკითხული ახალგაზრდების 64% მდედრობითი სქესის, ხოლო 36% მამრობითი სქესის წარმომადგენელია (იხ. დანართი, ცხრილი 2).

ფოთის მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდების 32% სკოლის მოსწავლეა, 10%-ს სრული საშუალო განათლება აქვს მიღებული, 12%-ს - პროფესიული განათლება, 18%-ს - არასრული უმაღლესი განათლება, ხოლო 23%-ს სრული უმაღლესი განათლება აქვს მიღებული (სპეციალისტის, ბაკალავრის ან მაგისტრის ხარისხი) (იხ, დანართი, ცხრილი 46).

გამოკითხული ზრდასრული ახალგაზრდების უმრავლესობა არ არის დაქორწინებული (83%) და არ ჰყავს შვილი (93%). რესპონდენტთა უმრავლესობა (96%) თავს ეთნიკურ ქართველად მიიჩნევს (იხ. დანართი, ცხრილი 47, 48 და 49).

რესპონდენტთა ოჯახების ყოველთვიური შემოსავალი შემდეგნაირად გადანაწილდა - მონაწილეთა 18% ამბობს, რომ არ იცის, რამდენი აქვს ოჯახს შემოსავალი, 3% ამბობს, რომ ოჯახის შემოსავალი თვეში 300 ლარს არ აღემატება, 18%-ის განცხადებით თვეში საშუალოდ 301-500 ლარამდე შემოსავალი აქვთ. 25%-ის თქმით, კი - 501-900 ლარი. რესპონდენტთა 16% ამბობს, რომ ოჯახის შემოსავალი თვეში 901-1500 ლარის ფარგლებშია, ხოლო კიდევ უფრო მცირე ნაწილი - 20% ამბობს, რომ ოჯახის ყოველთვიური შემოსავალი 1500 ლარს აღემატება. ოჯახის შემოსავლის ძირითად წყაროდ კი ყველაზე ხშირად ხელფასი (84%), გაქირავებიდან მიღებული შემოსავალი (65%) საზღვარგარეთ მცხოვრები ნათესავებისგან მიღებული ფინანსური დახმარება (15%) და ოჯახის პენსია (13%) სახელდება. სხვა ტიპი წყარო კი უფრო იშვიათად დასახელდა (იხ დიაგრამა 1).

დიაგრამა 1



შენიშვნა: რესპონდენტებს რამდენიმე ვარიანტის დასახელება შეეძლოთ, შესაბამისად, პასუხები არ ჯამდება 100%-ად.

სამოქალაქო აქტიურობა

კვლევაში მნიშნველოვანი ნაწილი დაეთმო ახალგაზრდების სამოქალაქო აქტიურობის საკითხს. შეკითხვაზე, თუ რა სახის სამოქალაქო აქტივობაში ჩაერთვნენ ბოლო ერთი წლის განმავლობაში, მონაწილეები ყველაზე ხშირად საზოგადოებრივი სივრცის დასუფთავებაში მონაწილეობას (სადარბაზო, ქუჩა, სკოლა, ეკლესიის ეზო და მსგავსი ადგილები) (35%), მოხალისეობრივ აქტივობებში ჩართულობას (35%), სოციალურ ქსელებსა და ფორუმებში სხვადასხვა საკითხის განხილვაში მონაწილეობას (27%) და მედიის (ტელევიზია, რადიო, ჟურნალ-გაზეთი) საშუალებით აზრის გამოხატვას (21%) ასახელებენ. სხვა პასუხები კიდევ უფრო იშვიათად დასახელდა (იხ. დიაგრამა 2). 16% კი არც ერთ ჩამოთვლილ აქტივობაში მონაწილეობა არ მიუღია. საინტერესოა, რომ საზოგადოებრივი სივრცის დასუფთავებასა და მოხალისეობრივ აქტივობებში მონაწილეობას უფრო ხშირად 14-17 წლის რესპონდენტები იღებენ, ვიდრე სხვა ასაკობრივი

კატეგორიის წარმომადგენლები. ასაკობრივ კატეგორიებს შორის ეს განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვანია[2].

დიაგრამა 2



შენიშვნა: რესპონდენტებს რამდენიმე ვარიანტის დასახელება შეეძლოთ, შესაბამისად, პასუხები არ ჯამდება 100%-ად.

კითხვაზე, მიიღეთ თუ არა მონაწილეობა ბოლო არჩევნებში, ფოთის მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახლგაზრდების უმრავლესობა (87%), რომელიც არჩევნების დროს სრულწლოვანი იყო (58%), ამბობს, რომ არჩევნებში მონაწილეობა მიიღო (იხ. დანართი, ცხრილი 6).

[2] Fisher's exact = 0.000; 0.000;

ზოგადად, გამოკითხულთა 60% ფიქრობს, რომ ფოთის მუნიციპალიტეტის პოლიტიკაში ახალგაზრდების ინტერესები გათვალისწინებული არ არის (საერთოდ არ არის გათვალისწინებული 13%, უფრო არ არის გათვალისწინებული, ვიდრე - კი - 47%). 14% კი ფიქრობს, რომ მათი ინტერესები გათვალიწინებულია (სრულად არის გათვალისწინებული 1%, უფრო გათვალისწინებულია, ვიდრე - არა - 13%). 7%-მა არ იცის და ასევე, 2% უარს ამბობს, უპასუხოს კითხვას, რამდენად არის გათვალიწინებული ახლგაზრდების ინტერესები მუნიციპალიტეტის პოლიტიკაში (იხ. დანართი, ცხრილი 7). რაც შეეხება გამოკითხული ახალგაზრდების დამოკიდებულებას საკითხისადმი - მუნიციპალიტეტში მათ მსგავს ადამიანებს შეუძლიათ თუ არა, გავლენა იქონიონ ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესზე, უმრავლესობა (66%) თვლის, რომ შეუძლიათ გადაწყვეტილების მიღების პროცესზე გავლენის მოხდენა, ხოლო 25% თვლის, რომ არ შეუძლიათ (იხ. დანართი, ცხრილი 8).

კვლევის ფარგლებში მონაწილეებს სთხოვეს, დაესახელებინათ ფოთის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების წინაშე მდგარი ხუთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა. გამოკითხულთა უმრავლესობა (77%) მთავარ პრობლემად დასაქმების საკითხს მიიჩნევს. ასევე ხშირად დასახელდა შემდეგი პასუხები: თავისუფალი დროის ხარისხიანად გატარების (დასვენება/გართობა) შესაძლებლობის ნაკლებობა (73%), უმაღლეს განათლებაზე ხელმისაწვდომობა (51%), ოჯახის წევრების მიგრაცია საზღვარგარეთ (32%), ვარჯიში/სპორტულ აქტივობაში ჩართვის შესაძლებლობა (26%), სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა (29%), პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობა (16%) და ადაპტირებული გარემო (16%). სხვა პასუხები კი უფრო იშვიათად დასახელდა (იხ. დიაგრამა 3). საინტერესოა, რომ დასაქმებას პრობლემად უფრო მეტი სრულწლოვანი ახალგაზრდა ასახელებს, ვიდრე არასრულწლოვანი რესპონდენტები, თუმცა არასრულწლოვან რესპონდენტთა უმრავლესობა მას მაინც პრობლემად მიიჩნევს. გარდა ამისა, თავისუფალი დროის ხარისხიანად გატარების შესაძლებლობას უფრო მეტი 14-22 წლის ახალგაზრდა მიიჩნევს პრობლემად, ვიდრე 23-25 წლის ახალგაზრდები. უმაღლეს განათლებაზე ხელმისაწვდომობას კი პრობლემურად უფრო მეტი სრულწლოვანი ახალგაზრდა მიიჩნევს, ვიდრე - არასრულწლოვანი. სამედიცინო სერვისებზე ხელმისაწვდომობა კი უფრო მეტად პრობლემური 23-25 წლის ახალგაზრდებისთვისაა, ვიდრე სხვა ასაკობრივი კატეგორიის ახალგაზრდებისთვის. ამ მხრივ ასაკობრივ კატეგორიებს შორის არსებული განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვანია[3].

[3] Fisher's exact =0.009; 0.000; 0.023; 0.034

დიაგრამა 3



შენიშვნა: რესპონდენტებს რამდენიმე ვარიანტის დასახელება შეეძლოთ, შესაბამისად, პასუხები არ ჯამდება 100%-ად.

მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული პროგრამები და სერვისები

კვლევის მნიშვნელოვანი ნაწილი დაეთმო მუნიციპალიტეტში ახალგაზრდული პროგრამებისა და სერვისების შესახებ ინფორმირებულობისა და ამ პროგრამებსა და სერვისებში ახალგაზრდების ჩართულობის საკითხებს. როგორც კვლევის შედეგებიდან ჩანს, ფოთის მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდები ინფორმაციას მუნიციპალიტეტში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით ძირითადად სოციალური ქსელების საშუალებით (87%) იღებენ. ინფორმაციის მიღების წყაროდ, ასევე, დასახელდა ტელევიზია (42%) და ახლობლები/მეგობრები/ნათესავები (38%). სხვა სახის წყაროები კი უფრო იშვიათად დასახელდა (იხ. დანართი, ცხრილი 9_1 – 9_9).

გამოკითხული ახალგაზრდების მხოლოდ 37% ამბობს, რომ გასული 12 თვის განმავლობაში ერთხელ მაინც იყო ჩართული მუნიციპალიტეტში ახალგაზრდებთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში. აქედან, მხოლოდ 5% ამბობს, რომ ინტენსიურად იყო ჩართული პროცესებში, 22%-ის განცხადებით რამდენჯერმე მიიღო მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, 10%-ის თქმით, კი მხოლოდ ერთხელ მიიღო მონაწილეობა. მონაწილეობა საერთოდ არ მიუღია გამოკითხულთა უმრავლესობას - 62%-ს (იხ. დიაგრამა 4). რაც შეეხება მიზეზს, თუ რატომ არ/ვერ ჩაერთნენ გასული 12 თვის განმავლობაში მუნიციპალიტეტში ახალგაზრდებთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში, 21% ამბობს, რომ არ ჰქონდა ინფორმაცია. სხვა სახის მიზეზები კი უფრო იშვითად დასახელდა. კონკრეტულ მიზეზს არ ასახელებს 21% (იხ. დანართი, ცხრილი 10).

დიაგრამა 4



რაც შეეხება ახალგაზრდულ პროგრამებში ახალგაზრდების ჩართულობას, ფოთის მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობას (61%) ერთხელ მაინც მიუღია მონაწილეობა მუნიციპალიტეტის მიერ ორგანიზებულ ახალგაზრდულ პროგრამებში. 18%-ს არ მიუღია მონაწილეობა, თუმცა სმენია პროგრამების შესახებ, ასევე 18%-ს არ მიუღია მონაწილეობა და არც სმენია მსგავსი პროგრამების შესახებ (იხ. დანართი, ცხრილი 12). კვლევისთვის ასევე საინტერესო იყო, მიუმართავთ თუ არა ახალგაზრდებს ფოთის მუნიციპალიტეტისთვის რაიმე პროექტის ან/და ინიციატივის განხორციელების მიზნით. გამოკითხვის შედეგების მიხედვით, რესპონდენტთა მესამედზე მეტს (34%) მიუმართავს მსგავსი იდეით მუნიციპალიტეტისთვის, ხოლო უმრავლესობას (61%) - არა (იხ. დანართი, ცხრილი 14). მათ ვისაც მიუმართავს მუნიციპალიტეტისთვის რაიმე სახის ინიციატივის/პროექტის განსახორციელებლად ყველაზე ხშირად პროექტის/აქტივობის დაფინანსებისთვისა (66%) და ტექნიკური მხარდაჭერისთვის (პროექტორი, ლეპტოპი და ა.შ.) (50%) მიმართეს. ასევე, ხშირად დასახელდა ფიზიკური სივრცის გამოყოფისთვის (43%) და ტრანსპორტით უზრუნველყოფისთვის (27%) მიმართვა. სხვა სახის პასუხები კი

იშვიათად დასახელდა (იხ. დანართი, ცხრილი 15). მონაწილეთა 59% ამბობს, რომ კმაყოფილია მიღებული დახმარებით (ძალიან კმაყოფილი - 30%, უფრო კმაყოფილი, ვიდრე უკმაყოფილო - 29%), 37% ამბობს, რომ უკმაყოფილოა (ძალიან უკმაყოფილო - 7%, უფრო უკმაყოფილო, ვიდრე კმაყოფილი - 30%) მიღებული დახმარებით. (იხ. დანართი, ცხრილი 16).

კვლევის ფარგლებში მონაწილეებს ასევე ეკითხებოდნენ, უსარგებლიათ თუ არა შემდეგი სახის სერვისებით: არაფორმალურ საგანმანათლებლო პროგრამები (ტრენინგ კურსები, სემინარები, ვორქშოპები და სხვა), მუნიციპალიტეტში არსებული სხვადასხვა კულტურული და სპორტული წრე, საბანაკე პროგრამები, საინფორმაციო და საკონსულტაციო სერვისები. მონაწილეების მესამედზე მცირედით მეტი (37%) ამბობს, რომ არცერთი ჩამოთვლილი პროგრამით არ უსარგებლია. დანარჩენ მონაწილეებს კი ყველაზე ხშირად არაფორმალური საგანმანათლებლო პროგრამებით უსარგებლია (35%). სხვა სერვისებით სარგებლობა კი შედარებით იშვიათად დასახელდა: კულტურული და სპორტული წრეებით სარგებლობა (22%), საინფორმაციო და საკონსულტაციო სერვისების გამოყენება (8%) და საბანაკე პროგრამებით სარგებლობა (7%), (იხ. დანართი, ცხრილი 17_1 – 17_4). აღნიშნული სერვისებით არსარგებლობის მიზეზად კი ყველაზე ხშირად ინფორმაციის (38%) და დროის (23%) არქონა დასახელდა (იხ. დანართი, ცხრილი 18_1 – 18_13).

საგანმანათლებლო და საინფორმაციო ტექნოლოგიებთან წვდომა

კვლევა ასევე სწავლობდა, ახალგაზრდების წვდომას საინფორმაციო ტექნოლოგიებზე. ფოთის მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდების დიდი უმრავლესობა ამბობს, რომ წვდომა კომპიუტერთან (94%) და ინტერნეტთან (99%) აქვს (იხ. დიაგრამა 5). უფრო კონკრეტულად კი გამოკითხულთა ნახევარზე მეტი (58%) ამბობს, რომ კომპიუტერთან წვდომა მხოლოდ სახლში აქვს, 33%-ს - როგორც სახლში, ისე სახლს გარეთ, 3% ამბობს, რომ მხოლოდ სახლს გარეთ აქვს კომპიუტერთან წვდომა, ხოლო 5%-ს საერთოდ არ აქვს კომპიუტერთან წვდომა. რაც შეეხება ინტერნეტზე წვდომას, რესპონდენტთა 75% ამბობს, რომ ინტერნეტთან წვდომა მობილურის საშუალებით აქვს, 61%-ს - სახლში ინტერნეტ პროვაიდერის საშუალებით აქვს, 15%-ს ინტერნატთან წვდომა სახლს გარეთ აქვს (იხ. დანართი, ცხრილი 20_1 – 20_3). რესპონდენტთა უმრავლესობა (64%) მიიჩნევს, რომ ინტერნეტი, რომელთანაც წვდომა აქვთ, ხარისხიანია, აქედან 42% ფიქრობს, რომ ხარისხიანია, თუმცა ძვირია, ხოლო 22%-ის განცხადებით, ხარისხიანი და იაფია. გამოკითხულთა 33% ამბობს, რომ ინტერნეტი, რომელზეც წვდომა აქვთ უხარისხოა. აქედან, 19%-ის აზრით, უხარისხო და ძვირია, ხოლო 10%-ის შეფასებით, უხარისხო, მაგრამ იაფია (იხ. დანართი, ცხრილი 21).

დიაგრამა 5



კითხვაზე, თუ ძირითადად, რა მიზნით იყენებენ საინფორმაციო ტექნოლოგიებს, რესპონდენტებმა ყველაზე ხშირად ინფორმაციის მიღება (76%), სოციალური ქსელების სარგებლობისთვის (64%), მათივე ინიციატივით სასწავლო მიზნით (58%) და გასართობად (58%) გამოყენება დაასახელეს. საინტერესოა, რომ მდედრობითი სქესის წარმომადგნელები უფრო ხშირად ამბობენ, რომ საინფორმაციო ტექნოლოგიებს გასართობად იყენებს, ვიდრე მამრობითი სქესის წარმომადგენლები[4]. ამასთანავე, გასართობად და სოციალური ქსელებისთვის საინფორმაციო ტექნოლოგიებს უფრო მეტი 14-17 წლის ახალგაზრდა იყენებს, ვიდრე სრულწლოვანი რესპონდენტები.[5]

დასაქმება და მასთან დაკავშირებული საკითხები

კვლევის ინტერესის საგანს ფოთის მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდების დასაქმების საკითხებიც წარმოადგენდა. მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობას (80%) მიაჩნია, რომ ახალგაზრდისთვის მუნიციპალიტეტში დასაქმება რთულია (ძალიან რთულია 26%, უფრო რთულია, ვიდრე მარტივი 54%). გამოკითხვის შედეგების მიხედვით, 14-17 წლის ახალგაზრდების 4% ამბობს, დასაქმებულია, ასევე 9% ეძებს სამუშაოს, ხოლო 63% არაა დასაქმებული და ამ ეტაპზე სამუშაოს არ ეძებს, გარდა ამისა, დიდმა ნაწილმა 25%-მა კითხვაზე პასუხის გაცემისგან თავი შეიკავა. რაც შეეხება სრულწლოვან გამოკითხულ ახალგაზრდებს, 43%

[4] სქესის მიხედვით განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვანია. Fisher's exact=0.010

[5] ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვანია. Fisher's exact=0.000; 0.010

ამბობს, რომ დასაქმებულია, უფრო დეტალურად კი, 18-დან 23 წლამდე ახალგაზრდების 29% ამბობს, რომ დასაქმებულია, 31% ეძებს სამსახურს, დაახლოებით მესამედი კი (34%) კი არაა დასაქმებული და ამ ეტაპზე დასაქმებას არ ცდილობს. 23-25 წლის გამოკითხული ახალგაზრდების ნახევარზე მეტი (56%) ამბობს, რომ დასაქმებულია, 37% სამსახურს ეძებს, ხოლო 4% არ არის დასაქმებული, თუმცა სამსახურს არ ეძებს (იხ. დიაგრამა 6). დასაქმებულ რესპონდენტთა (30%) 41% ამბობს, რომ მათ სამუშაო ადგილზე ღირსეული და უსაფრთხო შრომის პირობები დაცულია, 49%-ის აზრით, მეტ-ნაკლებად დაცულია, ხოლო 10%-ს მიაჩნია, რომ მათ სამუშაო ადგილზე ღირსეული და უსაფრთხო შრომის პირობები დაცული არ არის (იხ. დანართი, ცხრილი 29).

დიაგრამა 6



შენიშვნა: რადგანაც გრაფიკზე მოცემული პროცენტული მაჩვენებლები დამრგვალებული ციფრია, შესაძლებელია, ყველგან 100%-ად არ დაჯამდეს.

რაც შეეხება იმ ახალგაზრდებს, რომლებიც არ არიან დასაქმებული და ეძებენ სამსახურს (25%), მათი ძირითადი ნაწილი (55%) 1-12 თვეა რაც სამსახურს ეძებს (36% - 1-6 თვემდე, 19% - 6-12 თვემდე), 10% სამსახურს ერთი თვეზე ნაკლებია, რაც სამსახურს ეძებს, ხოლო 36% კი ერთ წელზე მეტია, რაც სამსახურის პოვნას ცდილობს (იხ. დანართი, ცხრილი 25). ახალგაზრდები, რომლებიც სამსახურს ეძებენ, ფიქრობენ, რომ მათი უმუშევრობის მიზეზები დასაქმების სერვისების არარსებობა (48%) და ზოგადად, სამუშაო ადგილების ნაკლებობაა (45%). მიზეზად ასევე, ხშირად დაასახელეს ისეთი ნაცნობის არსებობა, რომელიც დასაქმებაში დაეხმარებოდათ (38%), კოვიდ19-ის პანდემია (38%), პროფესიული უნარ-ჩვევების ნაკლებობა (24%) და ინფორმაციის ნაკლებობა (20%). სხვა სახის პასუხები

კი უფრო იშვიათად დასახელდა (იხ. დანართი, ცხრილი 26_1- 26_13). კითხვაზე, თუ რა დაეხმარებოდათ დასაქმებაში, ყველაზე ხშირად რესპონდენტებმა დასაქმების სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა(55%), სტაჟირების შესაძლებლობა (45%) და პროფესიული ცოდნისა და უნარების გაუმჯობესება (38%) დასახელეს (იხ. დიაგრამა 7).

დიაგრამა 7



შენიშვნა: კითხვა დაესვა მას, ვინც თქვა, რომ არ არის დასაქმებული და ეძებს სამსახურს - 25%. რესპონდენტებს რამდენიმე პასუხის ვარიანტის დასახელება შეეძლოთ, შესაბამისად, პასუხები არ ჯამდება 100%-ად.

ზოგადად, გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა ამბობს, რომ დასაქმების მთავარი წინაპირობა ცოდნა/განათლება (75%) და მეტი სამუშაო ადგილების არსებობაა (57%). ასევე, ხშირად დასახელდა სამუშაო გამოცდილების ქონა (43%), მონდომება/მოტივაცია (42%) და ნაცნობობა/კავშირები (33%). სხვა პასუხები კი შედარებით იშვიათად დაასახელეს (იხ. დანართი, ცხრილი 28).

გართობისა და დასვენების შესაძლებლობები

კვლევისთვის საინტერესო იყო იმის გარკვევა, თუ რამდენად კმაყოფილია ახალგაზრდები მუნიციპალიტეტში არსებული გართობა-დასვენების შესაძლებლობით. გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა (80%) პასუხობს, რომ უკმაყოფილო ან ძალიან უკმაყოფილოა. კმაყოფილებას (კმაყოფილი ან სრულიად კმაყოფილი) რესპონდენტთა მხოლოდ 14% გამოთქვამს (იხ. დანართი, ცხრილი 30_1). რაც შეეხება მუნიციპალიტეტში

კულტურულ-შემოქმედებითი საქმიანობის შესაძლებლობებით კმაყოფილებას, უკმაყოფილებას გამოკითხული ახალგაზრდების დაახლოებით ნახევარი (51%) გამოთქვამს, კმაყოფილებას კი - 41%. (იხ. დანართი, ცხრილი 30_2).

კითხვაზე, დამატებით რა შესაძლებლობების არსებობას ისურვებდნენ მუნიციპალიტეტში გართობა-დასვენებისა და კულტურულ-შემოქმედებითი საქმიანობის კუთხით, ფოთის მუნიციპალიტეტში გამოკითხულ ახალგაზრდებს ყველაზე ხშირად კინოთეატრის (63%) და ახალგაზრდული ცენტის (61%) არსებობა სურთ. ასევე ხშირად დასახელდა ატრაქციონების პარკის (30%), ლიტერატურული კაფეს (24%), ახალგაზრდული ბანაკებისა (22%) და სკვერების/ბაღებისა (19%) არსებობის/ფუნქციონირების სურვილი. სხვა სახის სასურველი დამატებითი შესაძლებლობები კი შედარებით იშვიათად სახელდება (იხ. დიაგრამა 8). აღსანიშნავია, რომ ახალგაზრდული ცენტრების ფუნქციონირების სურვილს უფრო ხშირად სრულწლოვანი რესპონდენტები გამოთქვამენ, ვიდრე არასრულწლოვანი ახალგაზრდები[6].

დიაგრამა 8



შენიშვნა: რესპონდენტებს 3 პასუხის ვარიანტის დასახელება შეეძლოთ, შესაბამისად, პასუხები არ ჯამდება 100%-ად.

გამოკითხული ახალგაზრდების 56%-ის თქმით, ფოთის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდებისთვის ფიზიკური სივრცე არ არსებობს, დაახლოებით მესამედს (30%) ამ

[6] ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვანია. Fisher's exact=0.029

საკითხთან დაკავშირებით ინფორმაცია არ აქვს. 12% თქმით კი, მსგავსი სივრცე მუნიციპალიტეტში არსებობს (იხ. დანართი, ცხრილი 32). მათგან ვინც ამბობს, რომ მუნიციპალიტეტში ასეთი სივრცე არსებობს, უმრავლესობას ერთხელ მაინც უსარგებლია აღნიშნული სივრცით (73%) და მეგობრებთან შესახვედრად (67%), გასართობად (44%), პროექტების დასამუშავებლად (44%) და ახალგაზრდული პრობლემების განსახილველად (44%) გამოუყენებია. (იხ. დანართი, ცხრილი 33, 34_1 – 34_6; 35_1 – 35_9).

მოხალისეობა

ფოთის მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდების 45% აცხადებს, რომ გასული 12 თვის განმავლობაში მიუღია მონაწილეობა მოხალისეობრივ აქტივობებში საქართველოში[7], 2% ამბობს, რომ გასული 12 თვის განმავლობაში მონაწილეობა მიუღია მოხალისეობრივ აქტივობებში საზღვარგარეთ, ხოლო 3% მოხალისე ყოფილა საქართველოშიც და საზღვარგარეთაც, 45%-ის თქმით, მოხალისეობრივ აქტივობებში მონაწილეობა არ მიუღია (იხ. დიაგრამა 9).

დიაგრამა 9



შენიშვნა: რადგანაც გრაფიკზე მოცემული პროცენტული მაჩვენებლები დამრგვალებული ციფრია, შესაძლებელია, ყველგან 100%-ად არ დაჯამდეს.

[7] მოხალისეობად ითვლება სასარგებლო საქმიანობა, რომელიც ხორციელდება სხვების დასახმარებლად, რომელიც არ არის მოტივირებული რაიმე ფინანსური ან მატერიალური სარგებლის მიღებით.

ის ახალგაზრდები, რომლებიც აცხადებენ, რომ გასული 12 თვის მანძილზე საქართველოში ან/და საზღვარგარეთ მოხალისეობრივ აქტივობებში მონაწილეობა არ მიუღიათ (45%), ამის მიზეზად შემდეგ ფაქტორებს ასახელებენ: 45%-ს ამისთვის საკმარისი დრო არ აქვს, 19% აცხადებს, რომ არ აქვს ინფორმაცია, როგორ ჩაერთოს მოხალისეობრივ საქმიანობაში. სხვა ტიპის პასუხები კი უფრო იშვითად დასახელდა (იხ. დიაგრამა 10). საინტერესოა, რომ უფრო ხშირად 14-17 წლის ახალგაზრდები უფრო მეტჯერ ამბობენ, რომ არ აქვთ ინფორმაცია, როგორ ჩაერთონ მოხალისეობრივ აქტივობებში, ვიდრე სრულწლოვანი რესპონდენტები[8].

დიაგრამა 10



შენიშვნა: კითხვა დაესვა მას, ვინც თქვა, რომ ბოლო 12 თვის მანძილზე მოხალისეობრივ აქტივობებში მონაწილეობა არ მიუღია - 45%. რესპონდენტებს რამდენიმე ვარიანტის დასახელება შეეძლოთ, შესაბამისად, პასუხები არ ჯამდება 100%-ად.

[8] ჯგუფის მიხედვით განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვანია. Fisher's exact=0.021

სპორტული აქტივობები

ფოთის მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდების 11% აცხადებს, რომ სპორტით ან სხვა ფიზიკური აქტივობით თითქმის ყოველ დღე არის დაკავებული (5-7 დღე კვირაში), 19%-ის განცხადებით, კვირაში 3-4 დღე არის ფიზიკური აქტივობით დაკავებული, 14%-ის თქმით - კვირაში 1-2 დღე, 19% კი ამბობს, რომ თვეში სულ რამდენჯერმე (უფრო იშვიათად, ვიდრე კვირაში 1-2 დღე) აქტიურობს ფიზიკურად, ხოლო წელიწადში რამდენჯერმე გამოკითხულთა 15% აქტიურობს. თითქმის ყოველი მეხუთე რესპონდენტი (20%) ამბობს, რომ საერთოდ არ არის დაკავებული ფიზიკური/სპორტული აქტივობით.

კითხვაზე, თუ რომელ სპორტულ აქტივობაში ისურვებდნენ ჩართულობას, ყველაზე მეტჯერ ცურვა (52%) დაასახელეს. ასევე, ხშირად დასახელდა იოგა (36%), ფიტნეს ვარჯიშები (32%), ჩოგბურთი (27%), კალათბურთი (26%), ცეკვა (21%) და ფრენბურთი (19%). სხვა სახის სპორტული აქტივობები კი უფრო იშვიათად სახელდება (იხ. დანართი, ცხრილი 41_1 – 41_11). საინტერესოა, რომ ცეკვაში ჩართულობა უფრო მეტ მდედრობითი სქესის წარმომადგენლს სურს, ვიდრე მამრობითი სქესის წარმომადგენელ რესპონდენტებს[9].

იმ გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა, რომლებიც იშვითად (თვეში ან წელიწადში რამდენჯერმე) ან საერთოდ არ არიან დაკავებული სპორტული ან ფიზიკური აქტივობით (54%), ამის მიზეზად არასაკმარის დროს (55%) და სურვილის არქონას (24%) ასახელებენ (იხ. დიაგრამა 11).

დიაგრამა 11



[9] სქესის მიხედვით განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვანია. Fisher's exact=0.029

შენიშვნა: კითხვა დაესვა მას, ვინც თქვა, რომ თვეში სულ რამდენჯერმე, წელიწადში რამდენჯერმე ან საერთოდ არ აქტიურობს ფიზიკურად - 54%. რესპონდენტებს რამდენიმე ვარიანტის დასახელება შეეძლოთ, შესაბამისად, პასუხები არ ჯამდება 100%-ად.

მავნე ნივთიერებებზე/ჩვევებზე დამოკიდებულება

ახალგაზრდებს კვლევის ფარგლებში ეკითხებოდნენ, რამდენად პრობლემურია ფოთის მუნიციპალიტეტში მავნე ნივთიერებებსა და ჩვევებზე დამოკიდებულება. გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა თვლის, რომ ახალგაზრდებში სიგარეტის მოხმარება პრობლემურია (80%) (ძალიან პრობლემური 52%; უფრო პრობლემურია, ვიდრე არ არის პრობლემური 28%). ასევე, უმრავლესობა ამბობს, რომ ახალგაზრდებში ალკოჰოლის მოხმარება პრობლემურია (67%) (ძალიან პრობლემური 33%; უფრო პრობლემურია, ვიდრე არ არის პრობლემური 34%); უმრავლესობას პრობლემურად მიაჩნია ახალგაზრდებში მარიხუანისა (83%) (ძალიან პრობლემური 50%; უფრო პრობლემურია, ვიდრე არ არის პრობლემური 33%) და ნარკოტიკული საშუალებების მოხმარება (68%) (ძალიან პრობლემური 35%; უფრო პრობლემურია, ვიდრე არ არის პრობლემური 33%). ასევე, ახალგაზრდების უმრავლესობა ფიქრობს, რომ ფოთის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების აზარტულ თამაშებში ჩართულობა პრობლემურია (83%) (ძალიან პრობლემური 52%; უფრო პრობლემურია, ვიდრე არ არის პრობლემური 31%) (იხ. დიაგრამა 12).

დიაგრამა 12



შენიშვნა: რადგანაც გრაფიკზე მოცემული პროცენტული მაჩვენებლები დამრგვალებული ციფრია, შესაძლებელია, ყველგან 100%-ად არ დაჯამდეს.

საინტერესოა, რომ ახალგაზრდებში მარიხუანას, ნარკოტიკული საშუალებების მოხმარება და აზარტულ თამაშებში ჩართულობა უფრო ხშირად 23-25 წლის ახალგაზრდებში დასახელდა პრობლემად, ვიდრე სხვა ასაკობრივი კატეგორიის ახალგაზრდებში[10].

მიგრაციასთან დაკავშირებული საკითხები

გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა (60%) აცხადებს, რომ მუნიციპალიტეტიდან და/ან ქვეყნიდან წასვლა სურს. ახალგაზრდების 11% ამბობს, რომ არ სურს მიგრირება, 28%-მა კი კითხვაზე პასუხი არ იცის (იხ. დიაგრამა 13). საინტერესოა, რომ მუნიციპალიტეტიდან წასვლის სურვილი უფრო მეტჯერ 14-17 წლის ახალგაზრდებმა დაასახელეს ვიდრე სხვა ასაკობრივი კატეგორიის ახალგაზრდებმა, ხოლო ქვეყნიდან წასვლის სურვილი კი უფრო მეტჯერ დაასახელა 23-25 წელის ახალგაზრდებმა[11].

დიაგრამა 13



შენიშვნა: რესპონდენტებს ორი პასუხის ვარიანტის დასახელება შეეძლოთ, შესაბამისად, პასუხები არ ჯამდება 100%-ად.

[10] ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვანია. Fisher's exact=0.005; 0.001; 0.000

[11] ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვანია. Fisher's exact=0.000; 0.000

მუნიციპალიტეტიდან და ქვეყნიდან წასვლის სურვილის ძირითადად მიზეზად ახალგაზრდები საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას (67%), დასაქმების უკეთეს შესაძლებლობას (65%), უკეთესი განათლების მიღების შესაძლებლობას (62%) და საკუთარი თავის რეალიზების უკეთესი შესაძლებლობა (52%) ასახელებენ. (იხ. დანართი, ცხრილი 44_1 – 44_9).

ტოლერანტობა

კვლევის ფარგლებში მონაწილეებს ტოლერანტობასთან დაკავშირებულ საკითხებზეც სთხოვდნენ აზრის გამოთქმას. რესპონდენტთა ნახევარზე მეტი ამბობს, რომ დადებითი დამოკიდებულება აქვს რელიგიური (56%) და ეთნიკური (52%) უმცირესობებისადმი, ხოლო 46% ამბობს, რომ ნეიტრალური დამოკიდებულება აქვს სექსუალური უმცირესობებისადმი (იხ. დიაგრამა 14).

დიაგრამა 14



შენიშვნა: რადგანაც გრაფიკზე მოცემული პროცენტული მაჩვენებლები დამრგვალებული ციფრია, შესაძლებელია, ყველგან 100%-ად არ დაჯამდეს.

დასკვნა

ამრიგად, გამოკითხვის შედეგებმა აჩვენა, რომ ფოთის მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა ფიქრობს, რომ მუნიციპალიტეტის პოლიტიკაში ახალგაზრდების ინტერესები არ არის გათვალისწინებული. 14%-ის განცხადებით კი -

გათვალისწინებულია. ახალგაზრდების უმრავლესობა ეთანხმება მოსაზრებას, რომ მუნიციპალიტეტში ადამიანებს შეუძლიათ, გავლენა იქონიონ ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესზე.

კვლევაში მნიშნველოვანი ნაწილი დაეთმო ახალგაზრდების სამოქალაქო აქტიურობის საკითხს. შეკითხვაზე, თუ რა სახის სამოქალაქო აქტივობაში ჩაერთვნენ ბოლო ერთი წლის განმავლობაში, მონაწილეები ყველაზე ხშირად საზოგადოებრივი სივრცის დასუფთავებაში მონაწილეობას (სადარბაზო, ქუჩა, სკოლა, ეკლესიის ეზო და მსგავსი ადგილები), მოხალისეობრივ აქტივობებში ჩართულობასა და სოციალურ ქსელებში/ფორუმებში სხვადასხვა საკითხის განხილვაში მონაწილეობას ასახელებენ. საინტერესოა, რომ საზოგადოებრივი სივრცის დასუფთავებასა და მოხალისეობრივ აქტივობებში მონაწილეობას უფრო ხშირად 14-17 წლის რესპონდენტები იღებენ, ვიდრე სხვა ასაკობრივი კატეგორიის წარმომადგენლები. ასაკობრივ კატეგორიებს შორის ეს განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვანია.

გარდა ზემოთ განხილული საკითხებისა, კვლევის ფარგლებში მონაწილეებს სთხოვეს, დაესახლებინათ ფოთის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების წინაშე მდგარი ხუთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა. გამოკითხულთა უმრავლესობა მთავარ პრობლემად დასაქმების საკითხს მიიჩნევს. ასევე, პრობლემურად დასახელდა შემდეგი პასუხები: თავისუფალი დროის ხარისხიანად გატარების (დასვენება/გართობა) შესაძლებლობის ნაკლებობა, უმაღლეს განათლებაზე ხელმისაწვდომობა, ოჯახის წევრების მიგრაცია საზღვარგარეთ, ვარჯიში/სპორტულ აქტივობაში ჩართვის შესაძლებლობა, სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა, პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობა და არაადაპტირებული გარემო. საინტერესოა, რომ დასაქმებას პრობლემად უფრო მეტი სრულწლოვანი ახალგაზრდა ასახელებს, ვიდრე არასრულწლოვანი რესპონდენტები, თუმცა არასრულწლოვან რესპონდენტთა უმრავლესობა მას მაინც პრობლემად მიიჩნევს. გარდა ამისა, თავისუფალი დროის ხარისხიანად გატარების შესაძლებლობას უფრო მეტი 14-22 წლის ახალგაზრდა მიიჩნევს პრობლემად, ვიდრე 23-25 წლის ახალგაზრდები. უმაღლეს განათლებაზე ხელმისაწვდომობას კი პრობლემურად უფრო მეტი სრულწლოვანი ახალგაზრდა მიიჩნევს, ვიდრე - არასრულწლოვანი. სამედიცინო სერვისებზე ხელმისაწვდომობა კი უფრო მეტად პრობლემური 23-25 წლის ახალგაზრდებისთვისაა, ვიდრე სხვა ასაკობრივი კატეგორიის ახალგაზრდებისთვის.

რაც შეეხება ახალგაზრდულ პროგრამებში ახალგაზრდების ჩართულობას, ფოთის მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობას ერთხელ მაინც მიუღია მონაწილეობა მუნიციპალიტეტის მიერ ორგანიზებულ ახალგაზრდულ პროგრამებში. ფოთის მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდები ინფორმაციას მუნიციპალიტეტში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით ძირითადად სოციალური ქსელების საშუალებით იღებენ. ინფორმაციის მიღების წყაროდ დასახელდა, ასევე, ტელევიზია და ახლობლები/მეგობრები/ნათესავები.

კვლევისთვის საინტერესო იყო, მიუმართავთ თუ არა ახალგაზრდებს ფოთის მუნიციპალიტეტისთვის რაიმე პროექტის ან/და ინიციატივის განხორციელების მიზნით.

გამოკითხვის შედეგების მიხედვით, რესპონდენტთა მესამედზე მეტს მიუმართავს მსგავსი იდეით მუნიციპალიტეტისთვის, ყველაზე ხშირად კი - პროექტის/აქტივობის დაფინანსებისთვის, ფიზიკური სივრცის გამოყოფისა და ტექნიკური დახმარებისთვის. მათგან, ვისაც მიუმართავს მუნიციპალიტეტისთვის, უმრავლესობა ამბობს, რომ კმაყოფილია მუნიციპალიტეტის მიერ გაწეული დახმარებით.

რაც შეეხება ახალგაზრდების გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობას, გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა ამბობს, რომ საერთოდ არ მიუღია მონაწილეობა გასული 12 თვის განმავლობაში მუნიციპალიტეტში ახალგაზრდებთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში. არმონაწილეობის მიზეზად, მათი ნაწილი ინფორმაციის არ ქონას ასახელებს, გამოკითხულთა მეხუთედი კი კონკრეტულ მიზეზს არ ასახელებს და ამბობს, რომ უბრალოდ არ მიიღო მონაწილეობა ახალგაზრდებთან დაკავშირებულ საკითხზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

კვლევის ფარგლებში მონაწილეებს ასევე ეკითხებოდნენ, უსარგებლიათ თუ არა შემდეგი სახის სერვისებით: არაფორმალური საგანმანათლებლო პროგრამები (ტრენინგ კურსები, სემინარები, ვორქშოპები და სხვა), მუნიციპალიტეტში არსებული კულტურული და სპორტული წრეები, საბანაკე პროგრამები, საინფორმაციო და საკონსულტაციო სერვისები. მონაწილეების მესამედზე მეტი (37%) ამბობს, რომ არცერთი ჩამოთვლილი პროგრამით არ უსარგებლია. დანარჩენ მონაწილეებს კი ყველაზე ხშირად არაფორმალური საგანმანათლებლო პროგრამებით უსარგებლია (35%). აღნიშნული სერვისებით არსარგებლობის მიზეზად კი ყველაზე ხშირად ინფორმაციის და დროის არქონა დასახელდა.

კვლევა ასევე სწავლობდა, ახალგაზრდების წვდომას საინფორმაციო ტექნოლოგიებზე. ფოთის მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდების დიდი უმრავლესობა ამბობს, რომ წვდომა კომპიუტერთან და ინტერნეტთან აქვს. რესპონდენტთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ინტერნეტი, რომელთანაც წვდომა აქვთ ხარისხიანია. ზოგადად, ფოთის მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა საინფორმაციო ტექნოლოგიებს ყველაზე ხშირად ინფორმაციის მისაღებად, სოციალური ქსელებით სარგებლობისთვის, სასწავლო და გასართობი მიზნით იყენებენ. საინტერესოა, რომ მდედრობითი სქესის წარმომადგნელები უფრო ხშირად ამბობენ, რომ საინფორმაციო ტექნოლოგიებს გასართობად იყენებენ, ვიდრე მამრობითი სქესის წარმომადგენლები. ამასთანავე, გასართობად და სოციალური ქსელებისთვის საინფორმაციო ტექნოლოგიებს უფრო მეტი 14-17 წლის ახალგაზრდა იყენებს, ვიდრე სრულწლოვანი რესპონდენტები.

კვლევის ინტერესის საგანს ფოთის მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდების დასაქმების საკითხებიც წარმოადგენდა. მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობას მიაჩნია, რომ ახალგაზრდისთვის მუნიციპალიტეტში დასაქმება რთულია. გამოკითხვის შედეგების მიხედვით, 14-17 წლის რესპონდენტთა ძირითადი ნაწილი დასაქმებული არაა და მათი უმრავლესობა ამ ეტაპზე სამუშაოს არ ეძებს. რაც შეეხება სრულწლოვან ახალგაზრდებს, 18-22 წლის ახალგაზრდების 29% ამბობს, რომ დასაქმებულია, ხოლო 31% ეძებს სამსახურს. რაც შეეხება 23-დან 26 წლამდე

რესპონდენტებს, ნახევარზე მეტი (56%) ამბობს, რომ დასაქმებულია, ხოლო 37% ეძებს სამსახურს. დასაქმებულ რესპონდენტთა 41% ამბობს, რომ მათ სამუშაო ადგილზე ღირსეული და უსაფრთხო შრომის პირობები დაცულია.

რაც შეეხება იმ ახალგაზრდებს, რომლებიც არ არიან დასაქმებული და ეძებენ სამსახურს, მათი ძირითადი ნაწილი 1-12 თვეა, რაც სამსახურს ეძებს. მათი აზრით, მათი უმუშევრობის მიზეზები დასაქმების სერვისების არარსებობა და ზოგადად სამუშაო ადგილების ნაკლებობაა. კითხვაზე, თუ რა დაეხმარებოდათ დასაქმებაში, ყველაზე ხშირად რესპონდენტებმა დასაქმების სერვისებზე ხელმისაწვდომობის ზრდა, სტაჟირების შესაძლებლობა და პროფესიული ცოდნის/უნარების გაუმჯობესება დაასახელეს.

კვლევისთვის საინტერესო იყო იმის გარკვევა, თუ რამდენად კმაყოფილია ახალგაზრდები მუნიციპალიტეტში არსებული გართობა-დასვენების შესაძლებლობით, გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა პასუხობს, რომ უკმაყოფილო ან ძალიან უკმაყოფილოა. კითხვაზე, თუ დამატებით რა შესაძლებლობების არსებობას ისურვებდნენ მათ მუნიციპალიტეტში გართობა-დასვენებისა და კულტურულ-შემოქმედებითი საქმიანობის კუთხით, ფოთის მუნიციპალიტეტში გამოკითხულ ახალგაზრდებს ყველაზე ხშირად კინოთეატრის, ახალგაზრდული ცენტრის, ატრაქციონების პარკის, ლიტერატურული კაფის, ახალგაზრდული ბანაკებისა და სკვერების/ბაღების არსებობა/ფუნქციონირება სურთ. აღსანიშნავია, რომ ახალგაზრდული ცენტრების ფუნქციონირების სურვილს უფრო ხშირად სრულწლოვანი რესპონდენტები გამოთქვამენ, ვიდრე არასრულწლოვანი ახალგაზრდები.

გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობის თქმით, ფოთის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდებისთვის ფიზიკური სივრცე არ არსებობს, დაახლოებით მესამედს ამ საკითხთან დაკავშირებით ინფორმაცია არ აქვს. 12%-ის თქმით კი მსგავსი სივრცე მუნიციპალიტეტში არსებობს და მათ უმრავლესობას ერთხელ მაინც უსარგებლია აღნიშნული სივრცით, ყველაზე ხშირად მეგობრებთან შესახვედრად, გასართობად, პროექტების/ღონისძიებების დასამუშავებლად და/ან ახალგაზრდული პრობლემების განსახილველად გამოუყენებია.

კვლევა ახალგაზრდების მოხალისეობრივ აქტივობებში ჩართულობასაც ეხებოდა. გამოკითხული ახალგაზრდების ნახევარი აცხადებს, რომ გასული 12 თვის განმავლობაში მიუღია მონაწილეობა მოხალისეობრივ აქტივობებში საქართველოში ან/და საზღვარგარეთ. ის ახალგაზრდები, რომლებიც აცხადებენ, რომ გასული 12 თვის განმავლობაში არ მიუღია მონაწილეობა მოხალისეობრივ აქტივობებში საქართველოში ან/და საზღვარგარეთ (45%), ამის მიზეზად დროის არქონას და მოხალისეობრივ საქმიანობაში ჩართვის შესახებ ინფორმაციის არ ქონასა ასახელებენ. საინტერესოა, რომ უფრო ხშირად 14-17 წლის ახალგაზრდები უფრო მეტჯერ ამბობენ, რომ არ აქვთ ინფორმაცია, როგორ ჩაერთონ მოხალისეობრივ აქტივობებში, ვიდრე სრულწლოვანი რესპონდენტები.

კვლევის ახლგაზრდების ფიზიკურ აქტივობაში ჩართულობაც შეეხებოდა. გამოკითხული ახალგაზრდების 44% აცხადებს, რომ ფიზიკური აქტივობით კვირაში რამდენჯერმე არის დაკავებული. კითხვაზე, თუ რომელ სპორტულ აქტივობაში ისურვებდნენ ჩართულობას, ყველაზე ხშირად ცურვა, იოგა ფიტნეს ვარჯიშები, ჩოგბურთი, და ცეკვა დასახელდა. იმ გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა, რომლებიც იშვითად ან საერთოდ არ არიან დაკავებული სპორტული ან ფიზიკური აქტივობით (54%), ამის მიზეზად არასაკმარის დროსა და სურვილის არქონას ასახელებენ.

ახალგაზრდებს კვლევის ფარგლებში ეკითხებოდნენ, რამდენად პრობლემურია ფოთის მუნიციპალიტეტში მავნე ნივთიერებებსა და ჩვევებზე დამოკიდებულება. გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა თვლის, რომ ახალგაზრდებში სიგარეტის, ალკოჰოლის მარიხუანისა და ნარკოტიკული საშუალებების მოხმარება და ახალგაზრდების აზარტულ თამაშებში ჩართულობა პრობლემურია. საინტერესოა, რომ ახალგაზრდებში მარიხუანას, ნარკოტიკული საშუალებების მოხმარება და აზარტულ თამაშებში ჩართულობა უფრო ხშირად 23-25 წლის ახალგაზრდებში დასახელდა პრობლემად, ვიდრე სხვა ასაკობრივი კატეგორიის ახალგაზრდებში.

გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა აცხადებს, რომ მუნიციპალიტეტიდან და/ან ქვეყნიდან წასვლა სურს. საინტერესოა, რომ მუნიციპალიტეტიდან წასვლის სურვილი უფრო მეტჯერ 14-17 წლის ახალგაზრდებმა გამოთქვეს, ვიდრე სხვა ასაკობრივი ასაკის ახალგაზრდებმა, ხოლო ქვეყნიდან წასვლის სურვილი კი უფრო მეტჯერ 23-25 წლის ახალგაზრდებმა დაასახელეს. მუნიციპალიტეტიდან და ქვეყნიდან წასვლის სურვილის ძირითადად მიზეზად ახალგაზრდები საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას, დასაქმების უკეთეს შესაძლებლობას, უკეთესი განათლების მიღების შესაძლებლობას და საკუთარი თავის რეალიზების უკეთეს შესაძლებლობას ასახელებენ.

კვლევის ფარგლებში მონაწილეებს ტოლერანტობასთან დაკავშირებულ საკითხებზეც სთხოვდნენ აზრის გამოთქმას. რესპონდენტთა ნახევარზე მეტი ამბობს, რომ დადებითი დამოკიდებულება აქვს რელიგიური და ეთნიკური უმცირესობებისადმი, ხოლო რესპონდენტთა 46% აცხადებს, რომ ნეიტრალური დამოკიდებულება აქვს სექსუალური უმცირესობებისადმი.

დანართი

1. რესპონდენტის ასაკობრივი ჯგუფი					
		14-17 წელი	18-22 წელი	23-25 წელი	ახალგაზრდები სულ (14-25 წელი)
ფოთი	სიხშირე	56	52	57	165
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

2. რესპონდენტის სქესი					
		14-17 წელი	18-22 წელი	23-25 წელი	ახალგაზრდები სულ (14-25 წელი)
მამრობითი	სიხშირე	10	24	26	60
	%	17.9%	46.2%	45.6%	36.4%
მდედრობითი	სიხშირე	46	28	31	105
	%	82.1%	53.8%	54.4%	63.6%
	სიხშირე	56	52	57	165
სულ	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

3. დასახლების ტიპი					
		14-17 წელი	18-22 წელი	23-25 წელი	ახალგაზრდები სულ (14-25 წელი)
ქალაქი	სიხშირე	56	52	57	165
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%
სულ	სიხშირე	56	52	57	165
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

4_1. გთხოვთ, დაასახელოთ თქვენს მუნიციპალიტეტში ახალგაზრდობის წინაშე მდგარი ხუთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა? - პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობა					
		14-17 წელი	18-22 წელი	23-25 წელი	ახალგაზრდები სულ (14-25 წელი)
უარი პასუხზე	სიხშირე	1	0	0	1
	%	1.8%	0.0%	0.0%	0.6%
არ დასახელდა	სიხშირე	46	48	44	138

	%	82.1%	92.3%	77.2%	83.6%
დასახელდა	სიხშირე	9	4	13	26
	%	16.1%	7.7%	22.8%	15.8%
სულ	სიხშირე	56	52	57	165
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

4_2. გთხოვთ, დაასახელოთ თქვენს მუნიციპალიტეტში ახალგაზრდობის წინაშე მდგარი ხუთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა? - უმაღლეს განათლებაზე ხელმისაწვდომობა					
		14-17 წელი	18-22 წელი	23-25 წელი	ახალგაზრდები სულ (14-25 წელი)
უარი პასუხზე	სიხშირე	1	0	0	1
	%	1.8%	0.0%	0.0%	0.6%
არ დასახელდა	სიხშირე	35	20	25	80
	%	62.5%	38.5%	43.9%	48.5%
დასახელდა	სიხშირე	20	32	32	84
	%	35.7%	61.5%	56.1%	50.9%
სულ	სიხშირე	56	52	57	165
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

4_3. გთხოვთ, დაასახელოთ თქვენს მუნიციპალიტეტში ახალგაზრდობის წინაშე მდგარი ხუთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა? - დასაქმება					
		14-17 წელი	18-22 წელი	23-25 წელი	ახალგაზრდები სულ (14-25 წელი)
უარი პასუხზე	სიხშირე	1	0	0	1
	%	1.8%	0.0%	0.0%	0.6%
არ დასახელდა	სიხშირე	20	10	7	37
	%	35.7%	19.2%	12.3%	22.4%
დასახელდა	სიხშირე	35	42	50	127
	%	62.5%	80.8%	87.7%	77.0%
სულ	სიხშირე	56	52	57	165
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

4_4. გთხოვთ, დაასახელოთ თქვენს მუნიციპალიტეტში ახალგაზრდობის წინაშე მდგარი ხუთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა? - ტექნოლოგიებთან წვდომა (კომპიუტერი, ინტერნეტი)

		14-17 წელი	18-22 წელი	23-25 წელი	ახალგაზრდები სულ (14-25 წელი)
უარი პასუხზე	სიხშირე	1	0	0	1
	%	1.8%	0.0%	0.0%	0.6%
არ დასახელდა	სიხშირე	51	49	49	149
	%	91.1%	94.2%	86.0%	90.3%
დასახელდა	სიხშირე	4	3	8	15
	%	7.1%	5.8%	14.0%	9.1%
სულ	სიხშირე	56	52	57	165
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

4_5. გთხოვთ, დაასახელოთ თქვენს მუნიციპალიტეტში ახალგაზრდობის წინაშე მდგარი ხუთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა? - სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა					
		14-17 წელი	18-22 წელი	23-25 წელი	ახალგაზრდები სულ (14-25 წელი)
უარი პასუხზე	სიხშირე	1	0	0	1
	%	1.8%	0.0%	0.0%	0.6%
არ დასახელდა	სიხშირე	42	41	33	116
	%	75.0%	78.8%	57.9%	70.3%
დასახელდა	სიხშირე	13	11	24	48
	%	23.2%	21.2%	42.1%	29.1%
სულ	სიხშირე	56	52	57	165
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

4_6. გთხოვთ, დაასახელოთ თქვენს მუნიციპალიტეტში ახალგაზრდობის წინაშე მდგარი ხუთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა? - ვარჯიში, სპორტულ აქტივობაში ჩართვის შესაძლებლობა					
		14-17 წელი	18-22 წელი	23-25 წელი	ახალგაზრდები სულ (14-25 წელი)
უარი პასუხზე	სიხშირე	1	0	0	1
	%	1.8%	0.0%	0.0%	0.6%
არ დასახელდა	სიხშირე	36	39	46	121
	%	64.3%	75.0%	80.7%	73.3%
დასახელდა	სიხშირე	19	13	11	43
	%	33.9%	25.0%	19.3%	26.1%
სულ	სიხშირე	56	52	57	165

	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

4_7. გთხოვთ, დაასახელოთ თქვენს მუნიციპალიტეტში ახალგაზრდობის წინაშე მდგარი ხუთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა? - ტრანსპორტზე ხელმისაწვდომობა					
		14-17 წელი	18-22 წელი	23-25 წელი	ახალგაზრდები სულ (14-25 წელი)
უარი პასუხზე	სიხშირე	1	0	0	1
	%	1.8%	0.0%	0.0%	0.6%
არ დასახელდა	სიხშირე	51	42	49	142
	%	91.1%	80.8%	86.0%	86.1%
დასახელდა	სიხშირე	4	10	8	22
	%	7.1%	19.2%	14.0%	13.3%
სულ	სიხშირე	56	52	57	165
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

4_8. გთხოვთ, დაასახელოთ თქვენს მუნიციპალიტეტში ახალგაზრდობის წინაშე მდგარი ხუთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა? - საბაზისო საჭიროებებზე ხელმისაწვდომობა (სრულფასოვანი კვება, საცხოვრებლის ქონა და ა.შ.) საბაზისო საჭიროებებზე ხელმისაწვდომობა (სრულფასოვანი კვება, საცხოვრებლის ქონა და ა.შ.)					
		14-17 წელი	18-22 წელი	23-25 წელი	ახალგაზრდები სულ (14-25 წელი)
უარი პასუხზე	სიხშირე	1	0	0	1
	%	1.8%	0.0%	0.0%	0.6%
არ დასახელდა	სიხშირე	50	48	50	148
	%	89.3%	92.3%	87.7%	89.7%
დასახელდა	სიხშირე	5	4	7	16
	%	8.9%	7.7%	12.3%	9.7%
სულ	სიხშირე	56	52	57	165
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

4_9. გთხოვთ, დაასახელოთ თქვენს მუნიციპალიტეტში ახალგაზრდობის წინაშე მდგარი ხუთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა? - თავისუფალი დროის ხარისხიანად გატარების შესაძლებლობის ნაკლებობა (დასვენება/გართობა)					
		14-17 წელი	18-22 წელი	23-25 წელი	ახალგაზრდები სულ (14-25 წელი)

